საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე [illegible] ყველგან 2 მანეთი. განცხადებათ ფასი [illegible] ზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის 16. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 282 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 282

სოფელ შემოქმედში (გურია) გარდაიცვალა

თებრონე ნიკოლოზის ასული დუმბაძისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქალი განსვენებულისა ვერა და შვილები დიმიტრი და მიხეილ დუმბაძენი. პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება მოხდება შემოქმედის მონასტრის გალავანში. 3232—1—1

დატანჯული მშობლები: ნინა ბესარიონის ასული და იგორ ამბაკოს ძე მახარაძე ამით აცხადებენ, რომ ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, დილის 11 საათზე მეორე წლის თავზე მათი უდროოდ დაღუპულ უსაყვარლესი და დაუვიწყარი შვილის, მერვე კლასის მოწაფის

მარუსიას

სულის მოსახსენებლად სურამის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საფლავზე. 3235—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელიტონ, მშობლები: ნინა და გაბრიელ, დები: ელენე, ქენია და ანეტა, ძმები: დათიკო და ვანო ესაძეები, ძმები შვილებითურთ: კატო და მარო, მაზლები: სიმონი და დიომიდე, სიმამრი ფარნაოზ ურუშაძენი მეუღ-შვილებითურთ და კატო სალუქვაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

ნინა გაბრიელის ასული ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ოზურგეთში მოიდანაზის სასაფლაოზე 10 დეკემბერს, 3 საათზე. 3234—1—1

გულ-დამწუხრებულნი: ელისე ივანეს ძე ანთელიძე და კირილე ლუკას ძე მამინაიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ უდროვოთ გარდაცვალებას ჩვენი ცხრა წლის დიასახლისის დედის და დის მაგიერის პატივისმცემელის საყვარელი დის

ნინა გაბრიელის ასული ურუშაძისას

რომელიც გარდაიცვალა 7 დეკემბერს, ღამის 12 საათზე ქალაქ ოზურგეთში. (3234—1—1

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ექიმ ვახტანგ იერემიას-ძე გულისაშვილის, მისი დედის მარიამის, ძმის პრაპორშჩიკ დიმიტრის და პატარა შვილის ელენეს

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მამა პირველისა იერემია დიმიტრის ძე და მეუღლე ქეთევან მათეს ასული შვილებითურთ და ძმა მიხეილ გულისაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (ნ. 1—1)

მომარაგების სამინისტრო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა.

აცხადებს საყოველთაოდ, რომ:

1) თანახმათ მონოპოლიის კანონისა თუთუნის ფურცელზედ, მიღებულია დამფუძნებელი კრებით 24 ოქტომბერს 1919 წელს და შესულია ძალაში დღიდან მიღებისა. ყიდვა-გაყიდვა, გატანა საზღვარ გარეთ და ყოველგვარი რეალიზაცია თუთუნის ფურცელზედ შეადგენს სახელმწიფო მონოპოლიას.

2) ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც იმყოფება საწყობებში რესპუბლიკის ტერიტორიაში, თუთუნის ქარხნებითურთ ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა სახელმწიფოს ოფიციოზის „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, აცნობონ მომარაგების სამინისტროს ნამდვილი რაოდენობა თუთუნისა, რომელიც მათ აქვთ საწყობში და ან სად არის ის საწყობები.

შენიშვნა: ყველა მესაკუთრე თუთუნის ფურცლისა, რომელიც ინახება საწყობებში ქალაქ სოხუმში, ოჩემჩირეში და საზოგადოთ აფხაზეთის საზღვრებში, თუთუნის ქარხნებითურთ, ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში, აცნობონ აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს მომარაგების სამინისტროსას ქ. სოხუმში (მისამართით აფხაზეთის კომისარიატისა) ნამდვილი რაოდენობა თუთუნისა და ადგილი სადაც უკანასკნელი ინახება.

3) ყველა მესაკუთრე საწყობებისა და ყველა ისეთ ბინებისა, სადაც თუთუნი ინახება, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებანიც, სადაც თუთუნი გირავდება, ვალდებულნი არიან კანონის ძალით პასუხისგებაში მიცემის შიშს ქვეშ, აცნობონ სამინისტროს (აფხაზეთში—აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ რწმუნებულს სამინისტროსას) ზემოაღნიშნულ ვადაში სად ინახება თუთუნი.

4) ეგეთივე მოვალეობა ეხება მოიჯარადრეებს და მმართველებს იმ უძრავ მამულებისა, რომელშიაც არის თუთუნის საწყობები.

5) დამნაშავენი თუთუნის ფურცლის დამალვაში იქნებიან მიცემული სათანადო პასუხისგებაში და თუთუნი კი იმ პატრონთაგან, რომლებმაც თავის დროზე არ მიაწოდეს ცნობები სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ რწმუნებულს სამინისტროსას (სადაც თუთუნი იმყოფებოდა), პატრონებს ჩამოერთმევა მეტად შემცირებულ ფასებში.

6) ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთაც ექნება რაიმე საშუალება, ეძლევათ წინადადება ზემოხსენებული ცნობები დაუყოვნებლივ წარმოუდგინონ მომარაგების სამინისტროს (აფხაზეთში) აფხაზეთის კომისარიატს და მთავარ-რწმუნებულს სამინისტროსას.

მომარაგების სამინისტრო საქართ. დემოკ. რესპუბლიკისა. ნ. 3—1

ევროპის ბურჟუაზია და რუსეთის კომუნიზმი

რუსულ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმაა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ემჩნევა ანტანტას რუსეთის საკითხში. ევროპის მართველ წრეებში ისმება კითხვა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა შერიგება საბჭოთა რუსეთთან. თუ წინათ ამ კითხვაში ანტანტის ხელმძღვანელნი გადაჭრით წინააღმდეგნი იყვნენ საბჭოთა რუსეთის ცნობის, ეხლა ერთგვარი რყევა ეტყობათ. ლიტვინოვის ბაასი კოპენჰაგენში ინგლისის წარმომადგენელთან ზოგიერთებს მიაჩნიათ წინასწარ ნიადაგის შემზადებათ. ლოიდ ჯორჯის უკანასკნელი განცხადებანიც ახალ პოლიტიკის ნიშნათაა ცნობილი. რუსეთის პრესაში დიდი აღშფოთება და პანიკაა; დაწყებული სუვორინის შავრაზმულ გაზეთიდან და გათავებული სახალხო სოციალისტთა პარტიის ორგანო „პარუსამდე“. ეს პრესა სასოწარკვეთილებას მისცემია, თავის უკიდურეს განცვიფრებას გამოსთქვამს და თანაც ემუქრება ანტანტას, რომ თუ ბალშევიკთა მთავრობა იცნო ევროპამ, ჩვენ ინგლისის მტერთა ბანაკში გადავალთო. ასეთი გაფრთხილება, გერმანიასთან შესაძლებელი კავშირის შესახებ, წინათაც კანტიკუნტათ ისმოდა რუსეთის რეაქციონერთა მხრით; მაგრამ, როგორც სჩანს, ამას ნაკლები გასავალი აქვს ანტანტის წრეებში, რადგან რუსეთი გერმანიისაგან უკვე გათიშა პოლონეთმა და სხვა ახალმა პატარა სახელმწიფოებმა.

ძნელია თქმა, თუ რამდენათ საფუძვლიანია ხმები იმის შესახებ, რომ ინგლისი საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდებას აპირებსო, მაგრამ, თუ ეს მართალია, ამ გარემოებას სიამოვნებით უნდა მიეგებოს მსოფლიო დემოკრატია. დღევანდელ მდგომარეობაში რუსეთი არის დაავადებული და დაბალღმებული ადგილი, რომელიც ასნეულებს მთელი ევროპის ორგანიზმს. რუსეთის საკითხის მოგვარება—ეს უდიდესი ნაბიჯი იქნება საერთო მდგომარეობის გაჯანსაღების საქმეში. რუსეთის ბალშევიკური მუწუკი კიდევ უფრო და უფრო გამიზზდება, თუ ანტანტამ განაგრძო ძველებური ბლოკადისა და ჩარევის პოლიტიკა. ბლოკადა და ომიანი გარემოებანი, რომელიც აცხოველებს მოსკოვურ კომუნიზმს, ეს გარემოებაა, რომ უარესათ აჩირქებს ამ ორგანიზმს. მოხსენით ბლოკადა, მიეცით მშვიდობიან ცხოვრების საშვალება და რუსეთის სხეულიც გამოიარას ამ ჭირს, თვითონ მოიხდის კომუნიზმის სენს.

მალე მთელი წელი გავა მას აქეთ, რაც რუსეთის ბალშევიკებმა თავიანთი კომუნიზმი გაკოტრებულათ გამოაცხადეს. ისინი მზათ იყვნენ და არიან დაუბრუნდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას, მაგრამ ამის საშვალებას მათ არ აძლევენ. ბალშევიკებმა თავიანთ „სოციალისტურ“ რევოლიუციის დროს გამოაცხადეს, რომ ევროპას ვალებს აღარ ვუხდით, ევროპის კაპიტალისტები ველარ მიიღებენ ჩვენგან იმ მილიარდებს, რომელიც მათ მეფის მთავრობას ასესხესო, ერთი სიტყვით გაკოტრება გამოაცხადეს. მოახდინეს ყველა [illegible]ის ნაციონალიზაცია, ნაციონალიზაცია უყვეს მრეწველობას და საერთოთ სოციალიზმი დაამყარეს, ისე, როგორც ეს დაწერილია წიგნებში. მართალიაო, ამბობდენ ისინი, ეს საქმე ჩვენ გაგვიძნელდება, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ევროპის სოციალისტური რევოლიუცია წამოგვეწევა და თან გაგვიტანსო. ეს იმედი არ გაუმართლდათ და იძულებული შეიქნენ თავიანთი ეკონომიური პოლიტიკა შეეცვალათ. და თუ ეს ვერ შესძლეს, ამის ერთი უმთავრესი მიზეზია ის გარემოება, რომ ევროპამ რუსეთი ბლოკადის არტახებში გაკრა, მის შინაურ საქმეში იარაღით ჩაერია, სამოქალაქო ომის გაღვივებას ხელი შეუწყო და მტკივანი ადგილები კიდევ უფრო გაამიზეზა. რუსეთი თანდათან უბრუნდება კაპიტალიზმს, ჯერჯერობით წვრილ წარმოებაში.

კომუნისტებმა წინადადება მისცეს ევროპას, ოღონდ თავი დაგვანებეთ და ვალებს გადაგიხდითო, ბანკების გახსნის ნება გეძლევათ, წაიღეთ კონცესიები (კიდეც გასცეს ერთი ასეთი კონცესია ჩრდილოეთის დიდი გზა—ობ კოტლასი; კაპიტალისტური კონცესიები სოციალისტურ სახელმწიფოში!); ერთი სიტყვით ბალშევიკები თანახმანი იყვნენ ბალშევიზმზე ხელი აეღოთ, ოღონდ ევროპას მათთან ზავი შეეკრა. მაგრამ ეს მაშინ ანტანტამ არ ისურვა და მით უდიდესი შეცდომა ჩაიდინა—ევროპის კრიზისი ამით გაახანგრძლივა. ერთი წლის წინათ რომ ევროპას საბჭოთა რუსეთთან ნორმალური განწყობილება დაეჭირა, დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ბევრათ უმჯობესი იქნებოდა, ვინაიდან რუსეთში ბალშევიკები შეიძლება ყოფილიყვნენ დღეს მთავრობაში, მაგრამ ბალშევიზმი უკვე აღარ იქნებოდა. ჩააყენეთ ნორმალურ საერთაშორისო და ეკონომიურ განვითარების პირობებში საბჭოთა რუსეთი და კომუნიზმი ბუნებრივათ გადაგვარდება და გარდაიქმნება ბურჟუაზიულ დემოკრატიათ.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენათ მართალია ის ცნობა, თითქოს ევროპა ადგება ბალშევიზმის მოშინაურების პოლიტიკას, ხოლო, თუ ეს მართალია, ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით ამ ახალ გზას ევროპის პოლიტიკაში, ამ გზით ბურჟუაზიას შეუძლია რუსულ კომუნიზმს გაუადვილოს შინაგანი ევოლიუცია. ამ გვარათ შეიძლება ქრისტიანობის ისტორია განმეორდეს—რუსეთის მებრძოლი კომუნიზმი მოშინაურდეს. არ მომხდარიყო რუსეთის კომუნიზმი ისტორიაში, ხომ კარგი იქნებოდა სოციალიზმისთვის, ეხლა კი მისი ამ გზით ლიკვიდაცია ნაკლები ბოროტება იქნება. ეს არ იქნება ბალშევიკებისათვის „სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ პროლეტარიატისა და დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს, ბალშევიზმის მშვიდობიან შინაურ ლიკვიდაციას და თუ ევროპა ასეთ გზას ადგება, ჩვენ მხოლოდ გულწრფელათ მივესალმებით ამ ნაბიჯს.

პრესა

როგორც ეტყობა განის წერილები „სახალხო საქმის“ ბერწ პოლიტიკოსებს მყუდროებას და სულიერ სიმშვიდეს ურღვევს, უკარგავს მოთმინებას და ისტერიაში აგდებს. ასეთი სულიერი განცდის დროს „სახალხო“-ს ბევრი რამ ეპატიება. ამიტომ არ გვინდა ვიყოთ სასტიკი მისდამი. შებრალება და სათნოება პოლიტიკურ ბრძოლაშიაც არის ხოლმე ხანდახან საჭირო.

„სახალხო“ ჩვენი გაზეთის დაკნინებაზე მოსთქვამს და „ლიტერატურული ზნეობის“ სახელით „პრესის სიფაქიზის“ დაცვაზე ღაღადებს. თუ როგორ ესმის „სახალხოს“ პრესის სიფაქიზე, ამას ნათლად ამტკიცებს ის სიტყვები, რომელიც მან დაჰკრიფა თავის საკუთარ ბაღში და მისგან შეკრული თაიგული ჩვენ გვიძღვნა. კლაკიორი, უმეცარი, ყოვლად უმგვანო ენა, კალმით მოცუღლუტე, ენა-ჭარტალა, ქუჩური ჟარგონი, ქუჩური სტილი, უხეირობა, საქართველოს ყველა კუთხიდან თავმოყრილი უვიცნი, რომელთა ინტელექტუალურ ავლადიდებას კურდღლის ბაჭია ცალი ფეხით წაიღებს და სხვა ასეთი მარგალიტები, რომლებიც ამკობენ „სახალხოს“ ჩვენს შესახებ და აი ასეთი მართლაც ქუჩური ზნეობის გაზეთი კიდევ ბედავს პრესის დაკნინებაზე ლაყბობას!

ჩვენ არ გვაქვს ჩვეულებათ ასეთ წერილებს არსებითად პასუხი გავცეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავანახოთ ჩვენს მკითხველებს თუ რა ლიტერატურული ზნეობის ხალხია თავმოყრილი „სახალხოს“ რედაქციაში და თუ რა ფასი აქვს იმ ცბიერ ცრემლებს, რომელსაც ისინი აფრქვევენ ჩვენი გაზეთის ვითომ დაკნინებაზე.

განბანილი ამ ემბაზში „სახალხო“ მედიდურათ აცხადებს: განს ვერ მოვთხოვთ, რასაკვირველია, გაერკვიოს ეკონომიურ ხასიათის საკითხებში და პროცენტების გამოანგარიშებაშიო. რასაკვირველია, ასადულაევის ბუჰგალტერი უფრო კომპენტენტიურია „სახალხოსათვის“, ვინემ განი. ამაში ჩვენ არც გვინდა შევეცილოთ. ხოლო რაც შეეხება პროცენტების გამოანგარიშებას—ნუ თუ ასე მალე დაავიწყდა „სახალხოს“ მისი ეკონომისტის სკანდალი დამფ. კრების ტრიბუნაზე?!

„სახალხო“ იმდენათ პატიოსანი მოკამათეა, რომ ფინანსთა მინისტრ კ. კანდელაკს „ინტერნაციონალურ სპეკულიანტების დამცველს“ ეძახის და იმ რედაქციაში რომ მართლაც იყოს ერთი ჭკვიანი კაცი ამ წერილის ავტორს მარტო ყურს კი არ აუწევდა,—გაწკეპლავდა კიდეც.

* * *

„აშხატავორს“ (№ 200) მოჰყავს ჩვენი შენიშვნა („ერთობა“ № 277) მისი მეთაურის გამო არგენტინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და დასძენს შემდეგს:

„მენშევიკურ ორგანოებს საერთოდ და „ერთობა“-ს კერძოდ უცნაური, ჟანდარმული პსიხოლოგია აქვთ; მათ ვერ შეითვისეს ის აზრი, რომ კაცი თუ არ არის მენშევიკი, შეუძლიან ესმოდეს საქართველოს ინტერესები, დაიცვას იგი როგორც ეკუთვნის და იმავე დროს აასრულოს მიუდგომელი კრიტიკოსის როლი. ამით უნდა აიხსნას ერთობლების უხეში ჩვეულება ყველაფერი საეჭვოდ აქციოს. ჩვენ გვგონია, რომ ეს მოპყრობა არის მხოლოდ და მხოლოდ გაუტანლობის შედეგი.

„მაგრამ ყველა ეს ხდება, რასაკვირველია, არა ღიათ, აშკარათ, არამედ— ზნეობის მასწავლებელის კილოთი, დაფარული „უმაღლესი“ იდეების სამოსელით.

„ვუპასუხებთ ერთობლებს და იმის მზგავსებს: განთავისუფლდით ჟანდარმიულ პსიხოლოგიისაგან, ვიდრე გვიანი არ არის“.

დაშნაკცუტიუნის „აშხატავორმა“ ეს ღვარძლი იმიტომ გადმოანთხია, რომ ჩვენ საეჭვოდ მივიჩნიეთ მისი ღაღადისი ერთია სოლიდარობაზე. ამ უბადრუკ ხალხს ჰგონია, რომ თუ ჟანდარმი გვიწოდა, ამით მოიწმენდენ იმ შავ ლაქას, რომელიც მათ სამართლიანად აქვთ მოცხებული თუ გინდ ისეთ საკითხებში, როგორიც არის მათ მიერ „საქართველოს ინტერესების დაცვა“, „მიუდგომელი კრიტიკა“ და სხ.

თანამედროვე ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებიდან

კაპიტალისტურ ქვეყანათა შორის, ინგლისს, ეჭვს გარეშეა, ოთხმოცდაათიან წლებამდი მაინც, პირველი ადგილი ეკავა. მე XIX საუკუნის შუა ხანებში ის გაბატონებული იყო მთელს ბაზარზე. ამ ხანებში საერთაშორისო ბაზარზე მის ერთად ერთ მოწინააღმდეგეთ საფრანგეთი გამოდიოდა. მხოლოდ საფრანგეთის მრეწველობა განსაკუთრებული ხასიათისა იყო. აქ განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია აბრეშუმის მანუფაქტურამ, რომელიც ინგლისში დიდ როლს არასდროს არ თამაშობდა და წარმოების სპეციალურ დარგებმა, როგორც მაგალითად ღვინოს წარმოებაა*) დიდ ბრიტანეთში უდიდეს განვითარებას ტექსტილურ წარმოებამ მიაღწია. რაოდენობა ბამბისა, რომელსაც ინგლისი იღებდა გადასამუშავებლად საზღვარგარეთიდან თუ საკუთარ ახალშენებიდან, წლითი წლამდე იზრდებოდა. მატყლის ნაწარმოებთა გაზიდვა ამ ხანებში უდრიდა 50 პროცენტიდან 60 პროცენტამდე მთელი გაზიდვისას საერთაშორისო ბაზარზე.

დიდის ტემპით ვითარდებოდა სავაჭრო ფლოტიც. 1890—1891 წ. მთელი მისი ტონნაჟი არ გასცილებია 6 მილიონ ტონნას, 1909 წ. სექტემბერში კი ტონნაჟი ინგლისის ფლოტისა აღემატებოდა 12 მილიონ ტონნას. **) განსაკუთრებული განვითარება დაეტყო ქვანახშირის წარმოებას. ბოლო ხანებში მისი წარმოება გადასცილდა 270 მილიონ ტონნას. მაგრამ აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წარმოება, რომელმაც ინგლისი გააბატონა საერთაშორისო ბაზარზე, და რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში თამაშობს უპირველეს როლს ეს არის მეტალლურგიული წარმოება. მისი განსაკუთრებული განვითარება გამოწვეული იყო იმით, რომ რკინის და ფოლადის მასალები წარმოადგენენ უმთავრეს ელემენტს, რომლიდანაც კეთდება საწარმოვო თუ სატრანსპორტო იარაღები, ჯავშნიანი თუ ნაღმოსანი გემები, კრეისერები, დრედნოუტები, ზარბაზნები, ხიდეები, ლოკომოტივები, სტრატეგიულ თუ ეკონომიურ მიზნებისთვის აუარებელი რკინის გზები და ათასი სხვა. მარტო რკინის გზები რომ ავიღოთ და ვიანგარიშოთ, რომ თითო ვერსს მოუნდება 5000 ფუთი რელსი და მივიღოთ მხედველობაში, რომ ინგლისის რკინის გზების სიგრძე წარმოადგენს რამოდენიმე ათეულ ათას ვერსს, მაშინაც კი გასაგები იქნება, თუ რამდენი ასეული მილიონი ფუთი რკინისა დაიხარჯა რკინის გზებზე, გასაგები იქნება ისიც, თუ რისთვის ამ წარმოების განვითარებისკენ იყო ინგლისის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული.

სწორეთ ინგლისის კაპიტალიზმის ადრინდელ განვითარებამ, საშუალება მისცა მას თავისუფალი ვაჭრობა ეწარმოებინა. მე 19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ინგლისს საბაჟო მფარველობის საფეხური, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ინდუსტრიაში, განვლილი ჰქონდა. ოცდაათიან წლებში, როდესაც პოლიტიკური ძალა მიწათმფლობელების ხელიდან მრეწველთა ხელში გადავიდა, საპარლამენტო რეფორმის წყალობით, საზოგადოებრივ აზრმა თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ იწყო ზრდა და უკვე 1846 წელს უმნიშვნელოვანეს საგანზე, სახელდობრ პურზე, ბაჟი სრულიად ისპობა. ორმოციან წლებშივე იწყება მრეწველობაზე საბაჟო გადასახადის თანდათანობითი დაკლება და ბოლოს და ბოლოს 1853 და 1860 წლების ტარიფებში მოჰყვა მეტად შესამჩნევი დაკლება საბაჟო გადასახადებისა. თავისუფალ ვაჭრობამ მეტად ხელი შეუწყო საზღვარ გარეთ გასატან ინგლისის საქონლებზე ფასის დაკლებას, რასაც მოჰყვა ევროპის ბაზრიდან კონკურენტების განდევნა. აუარებელ საქონლის საზღვარ-გარეთ გაზიდვა და საქონელთა თუ ნედლ მასალების შემოზიდვა სხვა ქვეყნებიდან.

მაგრამ არც გაზიდვა და არც შემოზიდვა ინგლისში არ მიაღწევდა იმ სიძლიერეს, რომელიც ემჩნეოდა უკანასკნელ ათეულ წლებში, თუ არა მუდმივი ექსპორტი ინგლისის კაპიტალისა. კაპიტალის ექსპორტი კი გილფერდინგის თქმისა არ იყოს, ღირებულების გატანაა, რომლის დანიშნულებაა დამატებითი ღირებულების შექმნა. ამ გატანით კაპიტალი როდი იქსაქსება, ის მოგებით რჩება იმ ქვეყნის კაპიტალისტთა განკარგულებაში, ვინც იქ გაიტანა. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ქვეყნებიდან, რომელთაც დააგროვეს დიდძალი კაპიტალი და რომელნიც ვერ ახერხებდენ მის დაბანდებას საკუთარ სამშობლოში და რომელნიც ამის გამო იძულებულნი იყვნენ მოეთავსებინათ ის საზღვარ გარეთ, პირველი ადგილი ინგლისს ეჭირა.

ინგლისმა დიდძალი კაპიტალი დააბანდა საზღვარ გარეთ ის აუარებელ ფულს ჰბარჯავს, განსაკუთრებით უკანასკნელ ათეულ წლებში გარეშე სახელმწიფოების ღირებულ ქაღალდების შესაძენად, როგორც მაგალითად სათათრეთის, სერბიის, რუსეთის, ჩინეთის და სხ. ინგლისის ბანკების კაპიტალი, რომელნიც დაარსებულნი არიან სხვა სახელმწიფოებში და რომელთა დანიშნულებას მხოლოდ ის შეადგენს, რომ შეიძინონ საზღვარ გარეთის სააქციონერო დაწესებულებათა ღირებული ქაღალდები, 1904 წ. უდრიდა 437 მილიონ გირვანქა სტერლინგს. უფრო მეტ კაპიტალს, ვიდრე საზღვარ-გარეთ, ინგლისი ათავსებდა თავის საკუთარ კოლონიებში, რომელთა რიცხვი წლითი წლამდე იზრდებოდა. ინგლისი ეს ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელიც კოლონიალური პოლიტიკის წყალობით შეიქნა ეკონომიურათ ძლიერი. ეს ქვეყანა გამოვიდა კოლონიალურ პოლიტიკის ასპარეზზე იმ დროს, როდესაც ფეოდალური აბსოლიუტიზმის ჯაჭვები დალეწილი იყო და კოლონიალურ პოლიტიკის ხელმძღვანელად გამოვიდა ის კლასი, რომელიც პირდაპირ დაინტერესებული იყო კოლონიები გამოეყენებინა ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლათ. ინგლისის ბუნებრივ მდგომარეობამ ოკეანის კუნძულზე, საშუალება მისცა მას, ხელი აეღო დიდი რეგულიარული ჯარის ყოლაზე, რაც აუარებელ ხარჯის გამოღებას ითხოვდა სახელმწიფოს მხრივ და სამაგიეროთ შექმნა ძლიერი სამხედრო ფლოტი და მოეწყო სავაჭრო გემთა მიმოსვლა დიდი მასშტაბით. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისი ხდება უდიდეს კოლონიალურ სახელმწიფოდ. სამრეწველო საქონელთა კოლონიებში გაზიდვას ზედ დაერთო მუდმივი ექსპორტი კაპიტალისა, რომელმაც უკანასკნელ ათეულ წლებში

---

*) იხ. პარფუსი. საერთაშორისო ბაზარი და სოფლის მეურნეობის კრიზისი. გვ. 45. 1898 წ.

**) იხ. ჰებერტი—გერმანიის ძლიერება ფრანგულად. გვ. 60—61. 1911 წ.

დღეს

ამერიკული ცნობით ინგლის—საფრანგეთი გერმანიასთან დათმობის გზას დაადგა მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა კატეგორიულად გადასწყვიტეს პარიზის დატოვება.

ამერიკის საზავო დელეგაციის შემადგენლობიდან პარიზში დარჩება მხოლოდ 4 წევრი.

ჩინეთი მოითხოვს იაპონიისაგან ფუჯოუში მყოფ იაპონიის ელჩის გაწვევას და ჩინელებისადმი მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას.

უმაღლესმა საბჭომ დაასრულა უნგრეთის საზავო ხელშეკრულების განხილვა.

ბალტიის სახელმწიფოთა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს შორის იურიევში საზავო მოლაპარაკება დაიწყო. მოლაპარაკებაში ლატიშები მონაწილეობას არ იღებენ.

ბალშევიკების ცნობით: ინგლისში პროგრესიულ ელემენტებს მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ ლოიდ ჯორჯს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში საბჭოთა რუსეთთან შერიგების შესახებ; იტალიის მუშები ამხანაგებს მოუწოდებენ არ იმუშაონ რუსეთისათვის სამხედრო მასალის დასამზადებლათ.

მოიპოვა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ინგლისის კაპიტალით აშენებულია მთელი რკინის გზის ლიანდაგი ინგლისის კოლონიებისა, რომელთა სიგრძე უდრის 70,000 მილს. ინგლისის კაპიტალით გაიხსნა თითქმის ყველა ბანკები და სააქციონერო საზოგადოებები კოლონიებში, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ხელი შეუწყოს იმ დაწესებულებათა განყოფილებების აღორძინებას, რომელნიც განმტკიცდნენ მეტროპოლიაში, ან გახსნას დამოუკიდებელი სამრეწველო დაწესებულებანი. ინგლისის კაპიტალი თავის თავზე ღებულობს კოლონიების სესხის რეალიზაციას. უკანასკნელ ხანებში მთელი ავსტრალიის და ინდოეთის სახელმწიფო ვალი მოთავსებულია ინგლისში, რომელიც შეადგენს 500 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტს. ინგლისის კაპიტალი, რომელიც კოლონიებში მიდიოდა ლოკომოტივების, ვაგონების, სხვადასხვა მანქანების და სხვა სახით აფართოვებდა გასაღების საქმეს თვით ინგლისისთვის და ამასთანავე ერთად ხელს უწყობდა ამ ახალშენებში მრეწველობის განვითარებას, რკინის გზების, არხების გაყვანას, სოფლის მეურნეობის აყვავებას.

რაც უფრო ძლიერდებოდა საწარმოვო ძალთა განვითარება, თავისუფალი კონკურენცია ინგლისის კაპიტალისტთა შორის ისაზღვრებოდა, საძირკველი ეყრებოდა უზარმაზარ მეურნეობას, რომელიც მონოპოლიზაციას ახდენდა მთელი ნაციონალური ბაზრისა. დღითი დღე იზრდებოდა და ვითარდებოდა მონოპოლისტური ორგანიზაციები. განსაკუთრებული როლი ამ შემთხვევაში ითამაშეს სააქციონერო დაწესებულებების იმ ფორმებმა, რომელთაც შეამსუბუქეს კაპიტალის დაბანდება წარმოებაში და შექმნეს უზარმაზარი დაწესებულებანი. ამ რიგად, კრედიტის სხვა და სხვა ფორმების აქციების და ობლიგაციების მფლობელობის სხ ბანკო კაპიტალი გამოდის, როგორც ორგანიზატორი მრეწველობის და ეს ორგანიზაცია *შეერთებული წარმოებისა მთელი ქვეყნისა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ძლიერია მრეწველობის კონცენტრაცია ერთის მხრივ და თვით ბანკების კონცენტრაცია მეორეს მხრივ. ამ უკანასკნელმა ინგლისში მიიღო მეტად ფართე ხასიათი. მთელი საბანკო საქმე ინგლისში 11 ბანკის ხელშია.

მონოპოლისტური ორგანიზაციები კი ინგლისში განსაკუთრებით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მოედო მთელ რიგ წარმოებებს. ეს არც გასაკვირია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი მრეწველობის სხვადასხვა დარგთა შორის. არსდება თუ არა სინდიკატი რომელიმე წარმოების, მას აუცილებლად მოსდევს სინდიკატის დაარსება იმ დარგში, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პირველთან.

ინგლისში არსებობს ტრესტები ცემენტის, ფოლადის, არაყის, მარილის, თამბაქოსი, ძაფის და სხ. ეს ტრესტები მოიცავენ დიდ მნიშვნელოვან დარგებს, როგორც მაგ. მეტალლურგიას, აგრიკულტურას, ქიმიურ წარმოებებს, ისე ისეთებს, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, როგორიცაა წარმოება აფის, ფოლაქის და სხ.

უძლიერესი ტრესტები არიან: ტრესტი შოტლანდიის ცემენტისა, რომლის წარმოება უდრის 89 პროც. მთელი ინგლისის წარმოებისას, ფოლადის ტრესტი 98 პროც. აღემატება მთელი წარმოებისას, მარილის ტრესტი უდრის 90 პროც., თამბაქოსი 82,8 პროც., საღებავების 90 პროც., ჩითეულობის 85 პროც., მავთულების 90 პროც. და სხვ.*).

ი. ხალაყაია.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. ზაგორსკი: სინდიკატები და ტრესტები, რუსულად. აგრეთვე არტურ რაფაილოვიჩის წიგნა: ტრესტები, კარტელები და სინდიკატები. ფრანგულად.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 დეკემბერი.

მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. დეკემბრის 7. სამხედრო ცნობა. კამიშინის მიმართულებით და მარცხებული მტრის დევნა გრძელდება. ბალაშოვის და ვორონეჟის მიმართულებით ბრძოლა ცვალებადია. კურსკის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს ბელგოროდ - ზოლოჩევ - ბოგოდუხოვის ხაზზე. ბახმაჩის მიმართულებით არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კოზელეცის რაიონში სემიპოლკზე შემოტეული მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კიევის რაიონში ჩვენ ვიშგოროდი და სხვა სოფლები ავიღეთ. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა იმგვარათ შესცვალოს სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით დადებული ფინანსიური მოთხოვნილებანი, რომ მოაახლოვოს ბელგრადის მთავრობის მიერ ვადა იმ ზარალის ანაზღაურების მიღებისა, რომელიც მას ერგება. სამხრეთ სლავიის დელეგაცია თავის მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც ბელგრადიდან უნდა მოვიდნენ, საერთო ბჭობას გამართავს, შემდეგ პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში სერბიის დელეგატები ხელს მოაწერენ საზავო ხელშეკრულებას, რომელიც სენ-ჟერმენსა და ნეიიში იყო დადებული. ხელს მოაწერენ აგრეთვე ორ საფინანსო ხელშეკრულებას და ამ შეთანხმებათა ძალაში შესვლის ოქმებს.

პრესა დიდ მნიშვნელობას აწერს მოკავშირეთა სხდომებს, რომელნიც ეხლა ხდება და რომელნიც გერმანიის ყოფაქცევის გამო შეიქმნა. „მატენი" აღნიშნავს არტილერიის სიმპატომატიურ გადატანას ელზასის გზით რეინისაკენ.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მოიწონა საპასუხო ტექსტი გერმანიის მთავრობის სახელით, ბარონ ფონ ლერსნერის მიერ გადმოცემულ ნოტაზე, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოთა 1 ნოემბრის ნოტით იყო გამოწვეული და რომელიც საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლას ეხებოდა. ამ პასუხს გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს გადასცემენ ან კვირა საღამოს ან-და ორშაბათს. როგორც პრესა ამტკიცებს, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს პასუხი გერმანიის მთავრობას აიძულებს ხელი მოაწეროს იმ ოქმზე და დასთანხმდეს საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლაზე. რაც შეეხება სამხედრო ტყვეებს, მათი მდგომარეობა ნათელია: სამხედრო ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცემათ საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე. სკაპა ფლოში გერმანიის ფლოტის დაღუპვის შესახებ ამ მოკლე დროში უმაღლესი საბჭო საგანგებოთ განაცხადებს ამ საქმეზე გერმანიისაგან ნოტის მიღებას.

უეჭველია ამ განცხადებაში ნათქვამი იქნება, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამ საქმეში გერმანიამ უნდა იკისროს და სრულებით ტყუილად არ სჯერა მას სამართლიანობის გრძნობა, რომელიც ასულდგმულებს უმაღლეს საბჭოს. ამ სამართლიანობის გრძნობით ხელმძღვანელობდა უმაღლესი საბჭო გერმანიის მიერ აღძრულ ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს. გერმანიის მთავრობას მისივე ხალხიც კი არ აპატიებს, თუ მან, მოკავშირეთა ნოტის გამოქვეყნების შემდეგაც, ყოველგვარი ზომა არ მიიღო საზავო ხელშეკრულების ძალაში შესაყვანად.

ბუქარესტიდან იუწყებიან: როდესაც კი ვაიდა ვოევოდამ, რომელიც საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის მომხრეთ ითვლება, კაბინეტის შედგენა ითავა, მაშინვე მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შეუთანხმდა, რათა მოენახა მოკავშირეთა სურვილების რუმინიის შინაურ პოლიტიკის მოთხოვნილებებთან შესათანხმებელი ნიადაგი. სრული იმედია ვიფიქროთ, რომ საკითხები რეკვიზიციისა, პატარა სახელმწიფოებისა და რუმინიის ჯარის, საზავო კონფერენციის მიერ ნაჩვენებ ხაზამდე უკან დახევის შესახებ, გადასწყდება რუმინიისთვის მიცემულ ვადამდე, რომელიც 8 დეკემბერს თავდება.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა პუანკარემ შაბათს საღამოს გამართა ინტიმური სადილი სერბიის პრინც რეგენტის პატივსაცემად.

უმაღლესმა საეკონომიო საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე სხვა საყურადღებო საკითხთა შორის გაარჩია ავსტრიისა და სომხეთის სასურსათო საკითხი და გადასწყვიტა დაუყონებლივ მიიღოს აუცილებელი ზომები დახმარებისათვის. შემდეგ, უმაღლესი საბჭო გაეცნო გერმანიის სახმელეთო საზღვარზე საბაჟო გადასახადების საკითხს. გერმანიის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რომ ბაჟი გადახდილ იქნეს ოქროთი ისევე, როგორც ეს საზღვაო საზღვრებზე ბაჟის გადახდის შესახებ არის დადგენილი. ამ საკითხის გადაწყვეტა გადადებულია იმ დრომდე, სანამ საზავო ხელშეკრულება ძალაში არ შევა.

4 დეკემბერს ქ. დერპში კვლავ გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასა და ბალტიის სახელმწიფოთა შორის დროებით ზავის დადების შესახებ. ამ მოლაპარაკებაში ლატიშები მონაწილეობას არ იღებდენ. გარდა ორი რწმუნებულის, იოფესა და კარახანისა, საბჭოთა საზავო დელეგაციაში კიდევ მრავალი პირი შედის. დელეგაციას ხელთ აქვს ტელეგრაფის მოსაწყობი საჭირო მასალა.

პეკინიდან იტყობინებიან: ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაპონიის მისიას მიმართა ნოტით, რომლითაც მოითხოვს ფუჯოუში მყოფ იაპონიის ელჩის გაწვევას, ჩინელებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და იაპონიის ელჩისაგან ზემოაღნიშნულ ქალაქის ჩინელი მოხელეების წინაშე ბოდიშის მოხდას.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი. დეკ. 8. ნაუენი. პარიზიდან იუწყებიან, უმაღლესმა საბჭომ დაასრულა უნგრეთის ხელშეკრულების განხილვა. გომელი. დეკ. 6. დენიკინის ზურგთ უკან პარტიზანული რაზმები მოქმედებენ. რომადანის რაიონში სედიუკის რაზმი მოქმედებს. ის დენიკინის დამსჯელ რაზმს ებრძვის. ასეთივე რაზმები სხვა მაზრაშიც ბევრია. თავრიდის გუბერნიაში, ვოზნესენსკის რაიონში მოქმედობს აინაუტოვის ძლიერი რაზმი. გომელი. დეკ. 8. შეშის კომისიამ 5000 ვაგონი შეშა გაგზავნა სხვადასხვა ქალაქებში, აქედან მოსკოვში 3000 ვაგონი გაიგზავნა.

ინგლისური გაზეთების ცნობით ოგრეიდიმ საუბრის დროს განაცხადა, რომ ლიტვინოვს ის ინგლისიდან იცნობს. მასზე კარგი წარმოდგენა აქვს და დარწმუნებულია ტყვეების გაცვლა გამოცვლის საქმეში ის გაიმარჯვებს.

ბელოოსტროვი. ყოფილი ინგლისის მინისტრი სერ ჯონ საიმონმა მოუწოდა ყველა პროგრესიულ მოაზროვნე ხალხს მხარი დაუჭირონ ლოიდ ჯორჯს, რომელსაც სურს შესწყვიტოს რუსეთში ავანტიურული პოლიტიკა.

ბერლინი, დეკ. 8. რომიდან იუწყებიან მთელი ქალაქი სავსეა იტალიის მუშების პლაკატებით, არ იმუშაონ რუსეთისათვის სამხედრო მასალების დასამზადებლათ. ამის გამო რომის ქუჩებში ყოველ შემთხვევისათვის ტყვიისმფრქვეველები სდგას.

სამხედრო ცნობა. 8 დეკემ. ნარვის რაიონში სროლაა. სადგ. ბაროვუხას რაიონში პოლოცკის ჩრდილო-დასავლეთით 15 ვერსზე მტერი დასავლეთ დვინაზე გადმოვიდა, მაგრამ ჩვენი იერიშებით მდგომარეობა აღდგენილია. ჟიტომირის მიმართ. ჩვენ იძულებული ვიყავით ბრძოლის შემდეგ ბერდიჩევი დაგვეტოვებინა. ძალების მომატების შემდეგ ჩვენი ჯარი ისევ შეტევაზე გადავიდა. სადგ. ბერდიჩევიდან მტერი განდევნა და ქალაქის ჩრდილო-განაპირა უბანში ქუჩებში იბრძვის. აქ ჩვენ მტრის ჯავშნიანი მატარებელი გავანადგურეთ და ხელში ჩავიგდეთ 4 ტყვიისმფრქვეველი. კიევის რაიონში მდ. ირპენიდან მტერმა ოდნავათ შეგვავიწროვა. მარცხენა ნაპირის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს, კიევის ჩრდილო აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით 35—30 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ზოლოტონოშის მიმართულებით კიევ პოლტავის რკინის გზის ხაზზე გამოვედით და პირიატინი ავიღეთ. ხარკოვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ქალ. ბოგოდუხოვის სამხრეთ დასავლეთით 10 ვერსზე სოფლები აიღო და შეტევას განაგრძობს. ბელგოროდის მიმართ. ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება, ჩვენ ჯარს მოყავს ტყვეები და ბრძოლით წინ იწევს ბელგოროდის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 ვერსზე და ჩრდილო-დასავლეთით 15 ვერსზე. დამატებითი ცნობებით ჩვენ ქალ. ბელგოროდი ავიღეთ. ვალუიკის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბირიუჩის სამხრეთისაკენ მტერს ავიწროვებს. დონის რაიონში ჩვენი ჯარი პავლოვსკის სამხრეთით და სამხრეთ - დასავლეთით 20 ვერსით დონზე გამოვიდა. სადგურ მელოვაიას დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 12 ზარბაზანი, 18 ტყვიის მფრქვეველი, რამდენიმე ათასი ყუმბარა და მრავალი ტყვია. ცარიცინის რაიონში დონსა და ვოლგას შუა ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. ურალსკის რაიონში გურიევის ტრაქტის დასავლეთით ჩვენი ჯარი ბალინტის ტბის სამხრეთით წინ მიიწევს. კრასნოვოდის მიმართ. თურქესტანის ჯარმა ბრძოლით აიღო სადგ. კოზანჯიკი, წამოიყვანა 1500 ტყვე, ხელში ჩაიგდო 20 ზარბაზანი, 1 ჰაეროპლანი, მრავალი თოფები, ყუმბარები, 10 ორთქლმავალი, 15 ნავთის ვაგონი, 150,000 ფუთი ნავთი. პეტრო ალექსანდროვსკის ჩრდილოეთით 100 ვერსზე სოფლები ავიღეთ. ნოვო ნიკოლაევის მიმართ. ციმბირის რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენი შეტევა კარგათ ვითარდება.

ბელოსტროვი. დეკ. 8. ფინური გაზეთი სწერს: რომ ჩრდილოეთ დასავლეთის მთავრობის ბრძანებლობას დასასრული მოუახლოვდა. იუდენიჩის არმიის უმეტესი ნაწილი ესტლიანდიაში გაიქცა, მათ იქ იარაღი აყარეს.

პარიზი. დეკ. 2. (ბელოოსტროვიდან) პარიზის პოლიციამ ცნობილი გამომცემელი ვერსიე დააპატიმრა. ის აუარებელ ბალშევიკურ გაზეთებს ღებულობდა.

ამერიკულ პრესის ცნობები.

(ლიონის რადიო სადგურიდან)

ნახევრად ოფიციალური ცნობების მიხედვით პუანკარეს მირაბოს ქუჩაზე სახლი კი არ უყიდია, არამედ—იჯარით აუღია.

მიუნხენის გაზეთების ცნობით 12,000 პოლონელმა მუშამ გაიარა სამხრეთი გერმანია. ისინი იმუშავებენ ომის დროს განადგურებულ ჩრდილო საფრანგეთის აღსადგენათ.

იუწყებიან, უმაღლეს საბჭოს გუშინდელ ნოტის ტექსტი შეუცვლია და გერმანიას ბევრი რამ დაუთმესო. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ფრანგებმა და ინგლისელებმა, რადგანაც დარწმუნდენ, რომ ამერიკელებმა კატეგორიულად გადასწყვიტეს პარიზი ხვალ დასტოვონ და როდესაც პრიამა (?) დაადასტურა გერმანიის მტკიცე გადაწყვეტილება არ მოაწეროს ოქმებს ხელი. თავის თავად ცხადია, რომ სკაპა-ფლოში გემების დაღუპვისათვის გერმანიისაგან 400,000 ტონ საპორტო მასალის მოთხოვნა საფრანგეთის მხრივ ზომაზე გადაჭარბებულია. უკანასკნელ ხანში ინგლისელები წინადადებას იძლეოდენ ეს რიცხვი 70 პროცენტით შემოკლებიათ, ინგლისმა მხარი არ დაუჭირა საფრანგეთს იმ პუნქტებში, რომელიც გერმანიის ძალდატანებით ემუქრება, რის შემდეგ ეს პუნქტი გამოტოვებული იქნა. ინგლისმა აგრეთვე მოახდინა საფრანგეთზე გავლენა იმ მხრით, რომ 200000 სამხედრო ტყვე გაგზავნილ იქნება სამშობლოში დაუყოვნებლივ რატიფიკაციონურ ხელშეკრულების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თუმცა საფრანგეთს სურვილი ჰქონდა გაეჩერებია ტყვეები, ვიდრე გერმანია ჩრდ. საფრანგეთის განადგურებულ ოლქების აღსადგენათ მუშებს არ გაგზავნიდა. ეს სამხედრო გეგმა ეკუთვნის მარტო საფრანგეთს, გერმანიის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა დანაპირებს: სამხედრო ტყვეების განთავისუფლებას, როგორც კი ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდებოდა.

ამერიკის დელეგაცია ხვალ საღამოს დასტოვებს პარიზს. ამერიკის დელეგაციის ქონება ბრესტში უკვე გაიგზავნა დელეგაციის ოთხი წევრი პარიზში დარჩება.

გვარდიის დღისათვის

კვირას, 7 დეკემბერს, გვარდიის შტაბში მომხდარ კრებაზე, რომელსაც დაესწრენ ყველა რაიონების და ორგანიზაციების წარმომადგენელნი, შემუშავდა დაახლოვებით შემდეგი სადღესასწაულო პროგრამა:

დღესასწაული დაიწყება სასახლის ქუჩაზე დილის 11 საათზე სადღესასწაულო კონცერტით.

სასახლის წინ გაკეთებულ საგანგებო ესტრადაზე ასრულებულ იქნება შეერთებულ მემუსიკეთა და ხოროთა საშუალებით ინტერნაციონალი, ეროვნული ჰიმნი, მარსელიოზა და სხვანი.

შემდეგ გვარდიის და ჯარის დათვალიერება მთავრობის თავმჯდომარის მიერ.

გვარდია და ჯარი დაიჭერს ორივე მხარეს რუსთაველის ქუჩისას—პირველი გიმნაზიიდან დაწყებული ვერის ხიდისკენ. ხოლო სასახლის მხარეს დაირაზმება პროფესიონალური კავშირები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ქალაქი იქნება სადღესასწაულოდ მორთული. ყველა სახლები—ყვავილებით და დროშებით.

ქალაქში ივლიან სადღესასწაულოთ მორთული ავტომობილები, გაყიდიან სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს.

საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება. ყველა რკ. გზის მატარებლები უნდა მოირთოს სადღესასწაულოდ, რაც ევალება ადგილობრივ ამხანაგებს, საიდანაც მატარებელი გამოვა ამ სადღესასწაულო დღეს.

მატარებლებში გაიყიდება დღესასწაულის შესაფერი ლიტერატურა.

ყულაბებით ფულის მოგროვება არ იქნება.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა თფილისის ყველა სარაიონო კოლექტივებს:

ამხანაგებო, როგორც იცით, 12 ამა დეკემბერს თფილისის დემოკრატია დღესასწაულობს პროლეტარიატის ბრწყინვალე დღესასწაულს,—სახელოვან სახალხო გვარდიის დღეს. ჩვენი მოვალეობაა ორგანიზაციული მონაწილეობა მივიღოთ ამ დიად დღესასწაულში. ამ მოსაზრებით ცენტრალური კომიტეტი ავალებს რაიონულ კოლექტივებს 12 დეკემბერს დილის 10 საათზე თავის წევრების მთელი შემადგენლობით გამოცხადდენ ცენტრალური კომიტეტის ბინაზე ([illegible] ტუპიკი № 2), საიდანაც თფილისის ყველა ორგანიზაციების წევრები გაემართებიან გვარდიის აღლუმის ადგილისაკენ საერთო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1919 წლის დეკემბრის 15 დანიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები: (სხდომა გაიხსნება 10 საათზე).

1) საქმე ევდოკია ბოროვკოვისას ანდრია პოპოვთან ბინის განთავისუფლების და მამულის თაობაზე.

2) საქმე ბასილ ნიყვაშვილის, ზაქარია ტურძილაძის, ერემია დავლიანიძის, და რომან ბულავასი მამულის თაობაზე.

3) საქმე გუდაუთის ადგილობრივი სამეურნეო საპოლიციო სამმართველოსი თიდორე ლინდროპთან მამულის თაობაზე.

4) საქმე ბარბარე კოსტავას რაჟდენ ბუაძესთან მამულის თაობაზე.

5) საქმე მიხეილ ადეიშვილის ბარბარე ქართველაშვილთან 600 მანეთის თაობაზე.

6) საქმე არუთიუნ და ვართან ჩილინგაროვების გინდი რაბინოვიჩთან ბინის დაცლის თაობაზე.

7) საქმე ალექსანდრე გიგინეიშვილის კონსტანტინე კვერნაძესთან მამულის თაობაზე.

ახალი ამბები

სამეურნეო იარაღები. სარწმუნო წყაროებიდან პრესბიუროს ატყობინებენ, რომ ამერიკაში შემდგარა საზოგადოება, რომელიც მოაწვდის ამიერ-კავკასიას სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. 1 გემი იარაღებით დატვირთული უკვე გამოსულა ნიუ იორკიდან

◆ **პურის მიღებისთვის.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება 1920 წლის 1 იანვრიდან მუშა მოსამსახურეებს მისცემს პურს მხოლოდ ბარათებით. ბარათებს, სათანადო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ სიის მიხედვით, იძლევა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. ამის გამო დაწესებულებებს და სამრეწველოებს წინადადება ეძლევათ დაჩქარებით შეიძინონ ბარათები.

◆ **ხაშურის ძმათა სასაფლაოზე,** სადაც არიან დასაფლავებულნი შულავერისა და ახალციხის ფრონტებზე დახოცილი გმირი გვარდიელები, გვარდიის შტაბმა, ოთხი თვის მუშაობის შემდეგ, დაწყებული ძეგლი უკვე დაამთავრა.

◆ **თფილისიდან ზედმეტ ელემენტების** გადამსახლებელი ცენტრალური კომისია უკვე შეუდგა საუბნო კომისიების დადგენილებათა განხილვას და ამ მოკლე ხანში დაამთავრებს მუშაობას.

◆ **კომბოსტო.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აძლევს მოსამსახურეებს, მუშებს, დაწესებულებებს და აგრეთვე ქალაქ თფილისის მოქალაქეთ კომბოსტოს განუსაზღვრელ რაოდენობას ფუთს 55 მანეთად.

◆ **ბათუმიდან ჩამოსულის გადმოცემით** იქ საშინელი სიძვირეა. გირვანქა პური ფასობს 25 მანეთი, გირ. ხორცი 50 მან., შეშა კუბიკური საჟ. 12—15000 მანეთი.

◆ **სახელმწიფო დაწესებულებათა** ცენტრალური შენობის შეკეთება ამ მოკლე ხანში დამთავრდება. მომარაგებისა და შრომის სამინისტროები უკვე გადმოვიდა ხსენებულ შენობაში, დანარჩენი სამინისტროები ამ დღეებში გადმოვლენ.

◆ **საზღვარ-გარეთ მიმავალ სტუდენტთა საყურადღებოდ.** დღეს, ოთხშაბათს, დილის 10 საათზე, განათლების სამინისტროში დანიშნულია კრება იმ სტუდენტებისა, რომლებიც მიემგზავრებიან ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში. დასწრება სავალდებულოა.

◆ **თიანეთის მაზრაში პრეს ბიუროს** მიერ მიღებული ცნობების თანახმად ბოლო მოეღო ყაჩაღთა თარეშს. თიანეთის მაზრის კომისარმა 14 კაცი დაატუსაღა, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირები. დატუსაღებულნი თფილისში ჩამოიყვანეს და [illegible] ციხეში მოათავსეს.

◆ **[illegible] ინსპექტორი.** [illegible] თანამდებობიდან [illegible] ადგილზე დაინიშნა ი. დ. იაშვილი.

◆ **მედიკამენტები ერობებისათვის.** მიწათმოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში გაანაწილოს ერობათა შორის სამკურნალო მასალები. სამინისტრომ ერობათა კავშირის საშუალებით წინადადება მისცა ერობებს, აუწყონ სამინისტროს საჭირო სამკურნალო მასალების რაოდენობა და წარმოადგინონ ფული, ვინაიდან მედიკამენტები დაურიგდება მათ მხოლოდ ნაღდ ფულზე.

◆ **„აბესალომ და ეთერი"-ს რეპერტუარიდან მოხსნა.** ზ. პ. ფალიაშვილმა რეპერტუარიდან მოხსნა თავისი ოპერა „აბესალომ და ეთერი".

◆ **კლუბების დახურვა.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა სამუდამოთ სამხატვრო, მუსულმანთა და ელლინთა კლუბები.

◆ **ქართველ მსახიობთა** მესამე ყრილობამ 3 ივნისის კრებაზე ერთხმად აღიარა, რომ ორი იანვარი გამოცხადდეს ქართველ მსახიობთა დღეთ. ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს შვიდ საათზე, მსახიობთა კავშირის ბინაზე, (დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5) გაიმართება თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ხსენებული დღე.

◆ **რესპუბლიკის ომში დაჭრილ და სახიჩრებულთა კავშირის** გამგეობა თანახმად კავშირის საბჭოს დადგენილებისა აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ პირველ იანვრიდან 1920 წ. კავშირის მიერ გამოცემული ყველა საწევრო ბარათები" გაუქმებულად ითვლება. პირველ იანვრისათვის კავშირის ყოველმა წევრმა უნდა წარმოადგინოს კავშირში თავისი პატარა ფოტოგრაფიული სურათი, რის შემდეგ ამ სურათს დაკრული მიეცემა ახალი საწევრო ბარათი.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** ხუთშაბათს, 11 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ვიქტორ დოლიძის ახალი ორიგინალური კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე". ოპერის სიუჟეტი აღებულია აგ. ცაგარლის კომედია „ხანუმადან".

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი ლექციები: მე-5 განყ. (წმ. ნინოს რაიონი) 1) ანთაძე „საქართველოს ისტორია"; 2) ა. წერეთელი „ისტორია". 7 განყ. (საბურთალო) 1) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები" 2) ტ. ართმელაძე „ჯარი და ხალხი". 8 განყ. (ავლაბარი) 1) შალამბერიძე „ქიმია"; 2) ს. დოლიძისა „საქართველოს შესახებ".

◆ **ბავშვთა და დედათა დაცვის საზოგადოებამ** ძუძუ მწოვარ ბავშვთათვის უკვე მოაწყო კონსულტაცია ქალაქის შემდეგ ადგილებში:

ავლაბარში (კახეთის ქ. № 1) ბავშვებს სინჯავს სამშაბათობით და შაბათობით 4—6 ს. ექიმი ისრაელიანცი.

ნაძალადევში—(ხუდადოვის ქ. № 6) 12—2 ს. ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვერაზე—საბებიო ინსტიტუტში—ოთხშაბათობით და შაბათობით—ექ. შენგელიძე. ღარიბებს დედებს ეძლევა ბავშვებისთვის კრუპა და შაქარი.

კრებები

10 დეკემბერს საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 24) შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. სომხური სექციის მორიგი სხდომა.

— 10 დეკემბერს. საღამოს 5 ს. შესდგება მეშვიდე კომისარიატის სანიტარული მზრუნველობის საბჭოს კრება. (კახეთის მოედანი № 1).

— დღეს, საღამოს 6 ს. მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული ქალთა კოლექტივის წევრთა კრება.

პროვინციის ქრონიკა

ზესტაფონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივი აცხადებს ადგილობრივ მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ზესტაფონში მოკლე ხანში გაიხსნება საღამოს უფასო კურსები წერა-კითხვის უცოდინართათვის და ნაკლებად მცოდნეთათვის. მსურველნი ჩაეწერებიან ადგილობრივ რკინის გზის სასწავლებლის გამგესთან 13—20 დეკემბრამდე. კურსებზე მიიღებიან ყველანი განურჩევლათ სქესისა და ხნოვანებისა.

უცხოეთი

რუსეთი.

რუსეთის კომუნისტთა ყრილობა. 4 დეკემბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის კომუნისტთა ყრილობა. ყრილობას სხვათა შორის, კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით მიესალმა მიკოიანი. პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთა

12 დეკემბერს ემზადეთ, ამხანაგებო, ამ დღისათვის გვარდიის დღე

ლენინმა. მან აღნიშნა მიზეზები საბჭოთა მთავრობის ძლიერებისა, მიუხედავათ საერთაშორისო მომენტის სირთულისა, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთისათვის. მისი აზრით, საჭიროა მუშაობის გაცხოველება, რათა მკვიდრი საფუძველი ჩაეყაროს სოციალისტურ საზოგადოებას. ამისათვის კი საჭიროა პრაქტიკულად გადაწყვეტა სამი უმთავრესი კითხვისა: პურის, სათბობ მასალის და ეპიდემიასთან ბრძოლის. შემდეგი სხდომა მოანდომეს ორგანიზაციულ კითხვას და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საკითხს უკრაინაში. უკანასკნელ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. დასასრულ მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ამართლებს ც. კ. პოლიტიკურ ხაზს. 5 დეკემბერს კონფერენციამ განიხილა საბჭოთა აღმაშენებლობის საკითხი. კონსტიტუციის ტექსტში არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ. პარტიის წესდების შესახებ მომხსენებელი იყო ზინოვიევი; მიღებულ იქნა სხვადასხვა შესწორებანი და დამატებები. გაუქმებულ იქნა ე. წ. „თანამგრძნობთა ინსტიტუტი". პარტიულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბუხარინი. მოხსენებას საფუძვლად ედო შემდეგი პრინციპები: კომუნ. პარტიის წევრთა განვითარება და პოლიტიკური აღზრდა. „საქმიანი მუშაობა". (ამაში იგულისხმება მასიური მუშაობა — კომუნისტური „შაბათი", „კვირა" და აგრეთვე მუშაობა კონტროლის, ინსპექციის და სხვათა შესასწავლად) და სამხედრო სწავლა.

ზავის საკითხი. მიღებული ცნობებით საბჭოთა რუსეთი მომხრე იქნება ზავის მოკავშირეებთან, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოკავშირეები არ ჩაერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში და არ მოისურვებენ მის დამონებას. მოსკოვის რადიოში ნათქვამია: საბჭოთა მე 7 ყრილობამ ისეთი ზავი უნდა შეკრას, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის ღირსებას შეეფერებაო.

მოხალისეთა კასპიის ფლოტი. მოხალისეთა სარდლობამ წინადადებით მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას, რათა უკანასკნელმა ნება დართოს მოხალისეთა კასპიის ფლოტის მმართველობას შეაკეთოს დაზიანებული გემები ადერბეიჯანის ნავთსადგურებში. ადერბეიჯანის მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა.

ყაზახობის აზრი უნდათ გაიგონ. ყუბანის საოლქო რადის პრეზიდიუმის წევრი ბალაშოვი 27 ნოემბრის სხდომაზე შეეხო საერთო მდგომარეობას და აღნიშნა ის კრიტიკული პოლიტიკური ატმოსფერა, რომელშიაც ყაზახობასა და „დობროვოლია"-ს უხდება ამ ბოლო დროს ცხოვრება. სწორეთ ეს გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს, მომხსენებლის აზრით, რათა მოწვეულ იქნეს ყაზახთა წარმომადგენლების ყრილობა—„ყაზახთა დუმა", რომელმაც თავის აზრი უნდა გამოსთქვას იმ ზომების შესახებ, რაც კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ უნდა იქნეს მიღებული. რადამ მომხსენებლის წინადადებით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სურვილია გამოთქმული მოწვეულ იქნეს „დუმა" რაც შეიძლება საჩქაროთ; ამასთანავე წინადადება ეძლევა დონსა და თერგს შეუერთდენ ამ გადაწყვეტილებას.

ისვენებენ. 27 ნოემბრის სხდომაზე ყუბანის რადაში პრეზიდიუმის სახელით წინადადება შევიდა, რომლის თანახმათაც რადის მუშაობა ორი კვირით უნდა შეწყვეტილიყო. ამას იმით ასაბუთებდენ, რომ კომისიებს დასამუშავებელი ჰქონებია სხვადასხვა მოხსენებები, რის მომზადებისთვის საჭირო ყოფილა ორი კვირა. მაგრამ უმრავლესობისთვის მოულოდნელათ წინადადება შევიდა შეეწყვიტათ მუშაობა იანვრამდე. რადამ გადაიწყვიტა შესწყვიტოს მუშაობა მომავალი წლის 10 იანვრამდე.

საფრანგეთი.

ნახშირის კრიზისი. საფრანგეთში ნახშირის კრიზისი კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. ამის შესახებ გაზ. „ტანი" შემდეგს სწერს: ნახშირის ნაკლებობა ისეთ საშინელ ხასიათს იღებს, რომ შესაძლებელია ამან დიდი სოციალურ-ეკონომიური მღელვარება გამოიწვიოს, რაც ლახვარს ჩასცემდა საფრანგეთის აღდგენის საქმეს. ხალხი სიცივით იხოცება; ამის მიზეზს მასსა მთავრობის უმოქმედობაში ხედავს, რაც ხელს უწყობს უკმაყოფილების ზრდას. კერძო სახლების გათბობა თანდათან შეუძლებელი ხდება; ტრამვაის მოძრაობა მცირდება. ქარხნებმა და ელექტრონის სადგურებმა სრულიად დახარჯეს შემონახული ნახშირი. მოსალოდნელია წარმოების საგრძნობი შემცირება და ახალი კონფლიქტები. მთავრობამ, რომლის ხელშიაც არის ნახშირის მიწოდებისა და განაწილების საქმე, გაზეთის აზრით, უნდა მიიღოს საჩქარო ზომები, რათა შემოტანილ იქნეს ნახშირი გერმანიიდან და ამერიკიდან, სადაც ნახშირი ბლომათ მოიპოვება.

ინგლისი.

საერთაშორისო ზომები. ჩვენი გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობები ავსტრია-გერმანიის დელეგაციის გამგზავრების შესახებ ლონდონში შიმშილობასთან მებრძოლ საერთაშორისო საბჭოს კონფერენციაზე დასასწრებლათ. გაზ. „ტან"-ის კორესპონდენტის შეკრებილი ცნობების თანახმად კონფერენციას უკვე დაუწყია მუშაობა 4 ნოემბერს; კონფერენციის სხდომები დახურულ კარებში ხდება. კონფერენციაზე 150 დელეგატია, უმრავლესობა ინგლისელები. საბჭოს მოწყობის ინიციატორები ომის დროს „პაციფისტთა" ჯგუფს ეკუთვნოდენ. კონფერენციას სხვათა შორის განსახილველ საგანთა სიაში მოუთავსებია საკითხი საზავო ხელშეკრულობის ეკონომიურ პირობათა გადასინჯვის შესახებ.

ომის მსხვერპლი. ბელგიამ დაკარგა 44,000 კაცი, შეერთ. შტატებმა 114,000, დიდ ბრიტანეთმა 869.000, საბერძნეთმა 12,000, იტალიამ 494,000, რუმინიამ 400,000 მდე, რუსეთმა 1,290,000, სერბიამ 297,000, გერმანიამ 2,049,000, ავსტრო უნგრეთმა 1,542,817, ბულგარეთმა 101,224, ოსმალეთმა 325,000. ცოცხლად ტყვეთ ჩავარდნილთა რიცხვი: ბელგიის 70,000 კაცი, საფრანგეთის 485 400, ინგლისის 171,000, რუსეთის 2,900 000, შეერთ. შტ. 4,800, იტალიის 485,000 სერბიის 82,400 და საბერძნეთის 7.400 კაცი. ცნობები შედგენილია 1918 წლის 11 ნოემბრამდე, ე. ი. სანამ დროებით ზავი შეიკვრებოდა.

ჩეხოსლოვაკია.

ჯარის ორგანიზაცია. ოქტომბრის დამლევს პრაგაში შესდგა კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლებმა და თავდაცვის კომიტეტის წევრებმა. კონფერენციამ განიხილა ჯარის ორგანიზაციის ახალი პრინციპები. მან რეაქციის საშიშროების გამო, გადასწყვიტა ჯარში სავალდებულო სამსახურის შემოღება და განსაზღვრა ჯარის რაოდენობა მშვიდობიან დროს 111,255 ჯარის კაცით. რაც შეეხება დროს სამხედრო სამსახურისას, საფრანგეთის სამხედრო მისიამ წინადადება შეიტანა ორი წელიწადი; რომლის დროსაც აფიცრობის რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს 7,193 ით და წლიური ხარჯები ჯარის შასანახად უნდა უდრიდეს 1 მილიარდ და 408 მილ.

ადერბეიჯანი

მუშა და ადმინისტრატორი. 26 ნოემბერს ნობელის ქარხნის ერთ ერთ ადმინისტრატორმა დაითხოვა მუშა აბდულ ასკეროვი. მუშათა კავშირის სარაიონო გამგეობამ ამის შესახებ წერილი გაუგზავნა მუშის ხელით ქარხნის მმართველს. უკანასკნელმა აიღო წერილი და რა დაინახა რომ წერილი მუშისა იყო,—შორს გადაისროლა. ამის გამო მუშათა კავშირის ცენტრალურმა სამმართველომ მიმართა შრომის ინსპექციას, რომელსაც სთხოვს მიიღოს ზომები თავგასულ ადმინისტრატორების ასალაგმავათ.

დენიკინი და ადერბეიჯანი. 9 ნოემბერს გენ. დენიკინმა შემდეგი ბრძანება გასცა: „ვინაიდან ადერბეიჯანის მთავრობა მტრულათ ეკიდება რუსეთის ჯარს და ვინაიდან ადერბეიჯანის ჯარები მუხანათურად დაესხენ თავს სომხეთის ნაწილს,—ვუბრძანებ ყველა რუსის სამსახურის აფიცრებს, რომლებიც ადერბეიჯანის ჯარებში მსახურობენ, მიატოვონ აღნიშნული ჯარის ნაწილები.

სომხეთი.

მარილი და ქვანახშირი. კაგიზმანის მარილის წარმოება ნორმალურათ მიმდინარეობს. ამოღებულ მარილის რაოდენობა დღითი დღე იზრდება. მომავალ წლიდან განზრახულია შეუდგენ ოლთისის რაიონის ქვა-ნახშირის დამუშავებას; მაგრამ დიდ დაბრკოლებას იწვევს სხვა და სხვა სპეციალისტების სიმცირე. მიღებულია წინასწარი ზომები, რათა მოეწყოს სამთო საქმის მუზეუმი, ლაბორატორია და სპეციალური ბიბლიოთეკა.

თფილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოს დადგენილების გამო.

ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ თფილისის ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ, ექიმ შტრეიხერის მოხსენების შემდეგ, გამოიტანა დადგენილება, ახლო ხანში მოიწვიოს სრულიად საქართველოს ებრაელთა კონფერენცია. საბჭო კიდეც შესდგომია ამ დადგენილების განხორციელებას.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რასაკვირველია, ყოველ ერს აქვს სრული უფლება თვითგამორკვევისა და არც, ცხადია, ჩვენი მთავრობა შეუშლის ხელს ადგილობრივ ნაციონალურ უმცირესობათ, მოიწვიონ კონფერენციები, თუ ისინი დაინახავენ ამის აუცილებლობას.—მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, ვინ მიანიჭა თფილ. ებრაელთა ეროვნ. საბჭოს ის უფლება, რომ მან თავისი დადგენილება მოახვიოს მთელ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს და კერძოთ ქართველ ისრაელებს? ვის იწვევს იგი კონფერენციაზე? იმ ქართველ ებრაელებს, რომლებმაც თავიდანვე უარჰყვეს ყოველივე მათი წადილი სეპარატიული გამოსვლებისა და ცალკე ორგანიზაციების დაარსებისა მთელ საქართველოში?!

როდის მიანდო ამათ ქართველმა ისრაელებმა მათზე ზრუნვა? 42 წევრში, რომელიც შეადგენს თფ. ებრ. ერ საბჭოს, მხოლოდ ერთი შემთხვევითი დეპუტატია ქართველი ებრაელი.

ამიტომ არ შეგვიძლია სასტიკი პროტესტი არ განვაცხადოთ ქართველმა ებრაელებმა ამ საბჭოს წინააღმდეგ ასეთი დადგენილების გამო...

ათას წლობით ძმურად ვცხოვრობთ მოძმე ქართველებთან, ჩვენ დღემდის არ შეგვიქმნია არავითარი ცალკე ნაციონალური და პოლიტიკური ორგანიზაციები და მით უფრო დღეს ვერ ავყვებით სიონისტების ლოცვა-კურთხევით შექმნილ ნაციონალურ საბჭოებს და კონფერენციებს.

ქართველი ებრაელობა გადაჭრით უარყოფს ყოველივე განკერძოვებულ მუშაობას პოლიტიკურ სფეროში მოძმე ქართველებისაგან და მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელ კრებას სთვლის თავისი პოლიტიკურ და სამშობლოსაქართველოს ინტერესების გამომხატველად. ამისთვის თფ. ებ. ერ. საბჭო უკეთესს იზამდა თუ დაეტევოდა თავის „მოღვაწეობის" ფარგლებში და არ მოახვევდა თავის წადილს მთელ საქართველოს ისრაელებს.

ასეთი კონფერენციების მოწვევის განზრახვა პირველი არაა ჩვენში. ამაზე თავდადებულათ ცდილობდენ წარსულში უნიადაგო სიონისტები: რაბინი ბაზოვი და ექიმი შტრეიხერი, მაგრამ ამაოთ.

ეხლაც, დარწმუნებული ვართ, განზრახულ კონფერენციას ქართველი ისრაელობა სრულის უარყოფით შეხვდება.

ქართველი ებრაელი.

შემოდგომა

მშვენიერია შემოდგომაც ფერად-ფერებით,
სიღრმით სავსეა მისი ნაზი მოწყენილობა;
თქვენც დაგაფიქრებთ, დაგაღონებთ იმ სიმღერებით,
რა სიმღერებსაც მღერის ხოლმე ხეთა ყრილობა.
დაუგდეთ ყური,
როგორ გლოვობს
ტყე უბედური?
— ვაი, შვილებო,
შვილებო;
ფოთლებო,
შიშველ ხისანო;
დედის მკერდს
მოწყვეტილებო,
ობლებო,
მოკლე დღისანო.
ვაი, დამიდგეს
თვალები,
ქარმა წაგიღოთ
შრიალით;
სამარის კარი
გაგიღოთ,
ხევს მიგაბარათ
ღრიალით.
მშვიდობით, სიყმის შვილებო,
მშვიდობით, შავის დღისანო!
თქვენ დაიტირეთ ცრემლებით,
ღრუბლებო, მშობელ ცისანო...

გ. ქუჩიშვილი.

ბოლშევიკების მოძრაობა დუშეთის მაზრაში

(წერილი დუშეთიდან)

დუშეთის მაზრაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობათ თფილისის ბოლშევიკების ორგანიზაციამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში გამოგზავნა სამი აგიტატორი: ვლადიმერ ცემენტია, ვლადიმერ სუხიშვილი სოფ. მამკოდიდან (თფილისის მაზრა)—თფილისის მე 10 უბნის სასურსათო საბჭოს აგენტი და გიორგი ლაფანაშვილი, სოფ. ჰოპორტიდან (დუშეთის მაზრა). უკანასკნელმა ორმა ლაფანაშვილმა და სუხიშვილმა მოასწრეს მხოლოდ რამოდენიმე სოფელში მცირე რიცხოვანი მიმდევრების მოპოვება, ისე შეიპყრეს 6 ოქტომბერს და დღესაც იმყოფებიან საგუბერნიო ციხეში. ცემენტია კი, სამწუხაროდ, აღმოუჩენელი დარჩა და განაგრძობდა მუშაობას. როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, ეს პირები უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ კობისა და ბაზალეთის რაიონებს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ კობის რაიონი დასახლებულია ოსებით, ბაზალეთის რაიონი კი შესდგება დუშეთის გარშემო მდებარე სოფლებიდან და 1918 წლის ანარქიის დროს წარმოადგენდა ბოლშევიკების მთავარ საბუდარს. წელსაც აი ამ რაიონში ეძებდენ ბოლშევიკები ნიადაგს და აწარმოებდენ ორგანიზაციულ მუშაობას.

კობის რაიონში ბოლშევიკურ მოძრაობაში ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებს სტეფანე ტაკაევს, „ლენინად" წოდებულს. მას წინად უცხოვრია თერგის ოლქში და ერთ დროს იბრძოდა „წითელ არმიაში", სადაც დაკარგა ცალი ხელი. თერგის ოლქში ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ ტაკაევი გადმოვიდა კობში და აქ განაგრძობდა მუშაობას. სამოქმედო რაიონი მისთვის—კობი და თრუსოს ხეობა იყო. ამ კუთხის ადგილობრივ მცხოვრებ ოსებზე დიდს იმედებს ამყარებდენ, მაგრამ იმედი მთლად არ გაუმართლდათ: უმრავლესობამ ბოლშევიკების აზრი არ გაიზიარა და, ასე ვთქვათ, ნეიტრალური დარჩა, იმავე თრუსოს ხეობაში დენიკინისაგან ჩვენი საზღვრების დასაცავად იდგა დუშეთის მაზრის გვარდიის ერთი რაზმი, რომელშიც ერივნენ კავკავიდან გამოქცეული ბოლშევიკები, ყოფილი წითელ არმიელები. ტაკაევი და მისი რამოდენიმე თანამგრძნობნი სცდილობდენ მათთან დაახლოვებას და ეს კიდევაც მოეხერხებინათ.

ბაზალეთის რაიონში ბოლშევიკებს გამოსვლის მოწყობაში ეხმარებოდენ:

1) სოფ. ახალაანთ კარის მცხოვრები ვასო ახალაშვილი—ყოფილი სტრაჟნიკი, თერგის ოლქიდან დაბრუნებული, ბოლშევიკ გიგიჭკორის ყოფილი ადიუტანტი.

2) სოფელ არანისიდან გიორგი ზანდუკელი—ყოფილი მემამულე, შემდეგ ბოლშევიკების პროპაგანდისტი.

ერთიც და მეორეც 29 ენკენისთვეს შეპყრობილ იქმნენ და თფილისის საგუბერნიო ციხეში გადაგზავნილნი.

3) პელაგია შუბლაძისა—შარშან მაზრაში გამოსვლის დროს ცნობილი ბოლშევიკი ბაზალელი თედო შუშიაშვილის და—45—50 წლის მანდილოსანი, არანორმალური ტიპი.

4) დროებით დუშეთში მცხოვრები ზაქრო ავსაჯანოვი ლოთი, ორჯელ მკვლელობის ჩამდენი—მოკლა თავისი ცოლი და ერთი თავისივე ამხანაგი სრულიად უმიზეზოთ.

5) სოფელ ბაზალეთიდან ლექსო ვერძეული—კაცი, რომელიც ეჯავრება მთელ საზოგადოებას, ყოფილი სტრაჟნიკი.

6) ამისი ძმა გაბო ვერძეული ფედერალისტების პარტიის შეძლებული თავწასული გლეხი.

7) დუშეთში ღვინით მოვაჭრე ვასო შარაბიძე და მისი ამხანაგი ალექსანდრე ელიაშვილი—ლოთი.

8) სოფ. ქაისხევიდან ტატო ბრაჭული—პროვოკატორის ტიპი: ირიცხებოდა ს.-დ. მუშათა პარტიის წევრად, კისრულობდა ამ პარტიის ორგანიზაციიდან სხვადასხვა დავალებებს, არჩეული იყო წვრილი საერობო ხმოსნათ, ნამდვილად კი ყაჩაღებთან ჰქონდა ახლო კავშირი და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში.

9) დუშეთში დროებით მცხოვრები ვანო ეძგვერაძე მედუქნე, მის სიმამრს ნასყიდა ყაველაძეს, შარშანდელ ამბოხების დროს მრავალ დანაშაულების ჩადენის გამო სიკვდილი მიუსაჯა საველე სასამართლომ. მისი დახვრეტის შემდეგ მის სახლში სცხოვრობდა ეძგვერაძე.

ჩამოთვლილი პირები თავს უყრიდენ ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, ცდილობდენ მათ შეკავშირებას და შეიარაღებას და მათი საშუალებით ბოლშევიკებს უნდა მოეხდინათ გამოსვლა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება დუშეთის მაზრაში.

ბოლშევიკების მოსული ძალების შესახებ ჩვენ ხელთ გვაქვს შემდეგი უტყუარი ცნობები: როგორც ზევით მოვიხსენიეთ თფილისიდან იყვნენ გამოგზავნილნი ცემენტია, სუხიშვილი და ლაფანაშვილი; პირველ მათგანს მინდობილი ჰქონდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, მხოლოდ მეორეებს ორგანიზაციული მუშაობა. ლაფანაშვილი და სუხიშვილი ორი კვირით ადრე გამოსვლამდე იქნენ დაპატიმრებულნი, ცემენტია კი მუშაობას განაგრძობდა დუშეთში და მის ახლო მდებარე სოფლებში.

ვიღაც ილიკო მგელაძეს, რომელსაც ახლო კავშირი ჰქონდა თფილისში მდგომ პირველ საგუბერნიო ციხის საყარაულო ასეულთან, მიუწვევია სასტუმრო „ავრორაში" ამ ასეულის ჯარისკაცი მიხეილ მელია, მიუცია მისთვის ფული და გამოუგზავნია დუშეთში.

20 ოქტომბერს მელია შეხვდა დუშეთში ცემენტიას, ტაკაევს, ზაქრო ავსაჯანოვს და ლექსო ვერძეულს. იმავე საღამოს მათ გამართეს კრება ვანო ეძგვერაძის სახლში მასპინძლის თანადასწრებით, რომელმაც მათ დაუთმო ბინა და საერთოთ ასრულებდა ყველა მათ დავალებას კრებაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე მეექვსე დარიალის სანაპირო რაზმის ჯარისკაცი დუშეთის მაზრის, სოფ. მისაქციელის მცხოვრები ივანე ზაქარიას ძე იორდანაშვილი და სახალხო გვარდიის მუდმივი კადრის გვარდიელი, ბაზალეთის საზოგადოების სოფ. საკრამულის მცხოვრები ზაქრო ბექანაშვილი.

მელიამ კრებას გადასცა, რომ 24 ოქტომბერს საქართველოს ყველა კუთხეში მოხდება ბოლშევიკების გამოსვლა და აქაც მზათ უნდა ვიყვეთო.

ამის შემდეგ კრებამ გამოიმუშავა 23—24 ოქტომბერს დუშეთზე დაცემის გეგმა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ღამით დუშეთის მახლობელი მაღლობები უნდა დაეჭირა სოფლებიდან გამოყვანილ შეიარაღებულ ხალხს; უნდა აეყარათ იარაღი ბაზალეთის რაიონის კომისარიატის მილიციონერებისათვის, რომელთა „პოსტიც" ქალაქ გარედ, ვანო ეძგვერაძის სახლთან ახლო იყო; შემდეგ ყველა მხრიდან უნდა შესულიყვნენ დუშეთში და მეექვსე სანაპირო ჯარისკაცთა დახმარებით ალყას შემოარტყამდენ გვარდიის სადგომ ბინას და იარაღს აჰყრიდენ მას. მათი აზრით ამის შესრულება ადვილი იქნებოდა, რადგანაც ფიქრობდენ, რომ გვარდიელები თავდამსხმელთ იარაღით ხელში წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. მილიციონერებისთვის იარაღის აყრა კი სულ ადვილ საქმეთ მიაჩნდათ, ვინაიდან მათ შორის ორი მილიციონერი—ქიტო კარიაული და მიხა ვარსიმაშვილი (ორივენი ბაზალეთის საზ.) ბოლშევიკების მომხრენი იყვნენ და თანხმობაც ჰქონდათ მიცემული.

აგრეთვე გადაწყვეტილი იყო მაზრაში მომქმედ ყაჩაღთა ბრბოს ტყიდან გამოწვევა და მათი ძალის გამოყენება დუშეთზე დაცემის საქმეში.

რაც შეეხება კობის რაიონს, იქ დაუყონებლივ უნდა წასულიყო ტაკაევი და გამოსვლა მოეხდინა, მაგრამ 21 ოქტომბერს იგი შეპყრობილ იქნა ადმინისტრაციის მიერ დუშეთში და დავალების შესრულება ვერ შესძლო.

22 ოქტომ. ერობამ და გვარდიის შტაბმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნა კობში სასწრაფო ზომების მისაღებათ, რომლებმაც იარაღი აჰყარეს და დაითხოვეს გვარდიიდან ყველა არა საიმედო პირები.

კობში გამოირკვა, რომ დიდ აქტიურ როლს თამაშობდნენ კობელი ალექსანდრე მაკაევი „ტროცკათ" წოდებული და ჯაველი სტუდენტი ალექსანდრე ჯატიევი. (ორივენი ჯავის ხეობისკენ გაიქცნენ), რომლებიც დიდ ფულს ატრიალებდენ.

23 ოქტომბერს, ნაშუაღამევს, დუშეთის ახლოს მართლაც ორ ალაგას შეგროვილიყვნენ 50—60 კაცი, ზოგი იარაღით და ზოგიც უიარაღოთ. მათ შორის იყვნენ ტატო ბრაჭულის და ზ. ავსაჯანოვის მიერ გამოწვეული ყაჩაღები, ცნობილი ყაჩაღის შ. ქაფიაშვილის მეთაურობით. იყვნენ აგრეთვე ისეთებიც, რომლებსაც ნადავლის მოლოდინში მხოლოდ ცარიელი ტომრები წამოეღოთ.

ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა, როცა ყაჩაღები და ბოლშევიკური გამოსვლების აქტიური მეთაურები თავს დაესხენ ბაზალეთის კომისარიატს, ასტეხეს სროლა და იარაღი აჰყარეს 7 მილიციონერს: ერთი მათგანი ვარსიმაშვილი თითქოს ტყვეთ წაიყვანეს, მაგრამ ჩქარა ისევ გაანთავისუფლეს.

ორ ადგილას ჩასაფრებული გლეხები სროლის ხმაზე შეშინდენ და ზოგი მათგანი გაიქცა, ხოლო დანარჩენებს თვით მეთაურებმა უბრძანეს დაშლილიყვნენ. ამ ნაირათ ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს გეგმის განხორციელება და მაზრის დაწესებულების ხელში ჩაგდება, რადგანაც ვერ შესძლეს ასეთ ავანტიურაში ხალხის ჩათრევა: მარტო ყაჩაღები და მათი ამყოლ დამყოლნი კი უძლურნი გამოდგენ ასეთ საქმისათვის.

კომისარიატზე თავდასხმის დროს სროლის გაგონებაზე უმალ ფეხზე დადგა გვარდია, ჯარი და მილიცია, გაიჩხრიკა ყველა საეჭვო ადგილები და რამოდენიმე მეთაური და მათ შორის მელიაც იქვე იქნა შეპყრობილი. ამის შემდეგაც გვარდიას და მილიციას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ანარქიისა და ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლა.

ბოლშევიკური გამოსვლის გამო დღემდის შეპყრობილია: 1) მიხეილ მელია, 2) სტეფანე ტაკაევი, 3) ვანო ეძგვერაძე, 4) ქიტო კარიაული, 5) ბაგრატ ვარსიმაშვილი, 6) ნიკა პეტრიაშვილი (ყაჩაღი), 7) ტატო ბრაჭული, 8) ნიკოლოზ ქენქაძე, 9) ივანე იორდანიშვილი, 10) ზაქრო ბექანაშვილი, 11) ლექსო ლალიაშვილი და სხვები. პირველ 7 კაცს საგანგებო სამხედრო სასამართლომ სასიკვდილოთ დასჯა გადაუწყვიტა, განაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში. დანარჩენები კი ზოგი გასამართლებულია და ზოგიც გასასამართლებელი.

№

ვანო სვანიძის ხსოვნას

მე ვანო გავიცანი, ორი წლის უკან, 1917 წლ., დაახლოვებით, ოქტომბრის რიცხვებში. ეს ის დრო იყო, როდესაც ძლევა-მოსილი რუსეთის დემოკრატიის საერთო რევოლიუციონური ფრონტი დაირღვა, რის შემდეგ ამიერ-კავკასიის და, კერძოთ, საქართველოს დემოკრატია საშინელ საფრთხეში ჩავარდა. ამ გარემოებამ მუშათა კლასი აიძულა ხელში იარაღი აეღო. ამ განსაცდელის ჟამს შესდგა, როგორც ყველგან საქართველოში, აგრეთვე ფოთშიაც, მუშათა წითელი გვარდია. ამხანაგები იწვევენ გვარდიის ინსტრუქტორათ და მის ტეხნიკურ ხელმძღვანელათ ვანოს. მან დიდი სიხარულით მიიღო ამხანაგების ეს დავალება და ახალგაზრდული გატაცებით და ენერგიით შეუდგა მუშაობას. ის თითქმის ერთი წელიწადი ემსახურა ამ მისთვის საყვარელ საქმეს სრულიად უსასყიდლოთ. ვანომ თავის სიმპატიური და ამხანაგური საქციელით მალე დაიმსახურა საერთო სიყვარული და პატივისცემა. ის ნამდვილი ღირსეული ხელმძღვანელი იყო ფოთის გვარდიისა და იღებდა ყველა მის ოპერაციებში—აჭარის წყალზე, ქუთაისში, ბათუმში, კოდორიზე, სოხუმის ოლქში—მონაწილეობას. ვანო ყოველთვის იჩენდა ბრძოლის დროს განსაკუთრებულ სიმამაცეს და სამხედრო ნიჭს. გაგრის აღების შემდეგ ვანო დაინიშნა გაგრის კომისრათ და კომენდანტათ. ამის შემდეგ მე არ ვიცი, თუ რა შეცდომა ან დანაშაული ჩაიდინა მან ისეთი, რომ იგი იძულებული შეიქნა თავის ხელით მოესპო სიცოცხლე, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ მისმა ფაქიზმა გრძნობამ ვერ მოითმინა მის ცხოვრებაში შავი წერტილი და სიცოცხლეს სიკვდილი არჩია.

ეხლა ამხ. ვანო, გეთხოვები უკანასკნელათ. შენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება შენს ამხანაგებში; ჩვენ კი, შენი ამხანაგები, შენს პატივისცემას აღვნიშნავთ მით, რომ შეურიგებლათ ვიბრძოლებთ იმ სოციალურ უკუღმართობის წინააღმდეგ, რომელიც შენებრ მრავალ ახალგაზრდას, არა ერთხელ იწირავს მსხვერპლათ.

სოლომონ პაიჭაძე.

ერთი რეცენზიის შესახებ

კრიტიკას ისეთივე მნიშვნელობა აქვს აზრთა და აზროვნების განვითარებისათვის, როგორც მზის სხივებს ბუნების აყვავებაში. კრიტიკა არის განვითარებული აზროვნების სხივები, რომლის საშუალებითაც იწვრთნება ადამიანის გონება. მაგრამ ასეთი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტ კრიტიკოსების ნაწერებს.

კრიტიკოსისათვის საკმარისი არ არის ერთი კალმის გასმით, გაკვრით განაცხადოს, რომ ეს თუ ის შრომა არ შეფერის ავტორის მიერ დასახულ მიზანს; საჭიროა საგნის ღრმებით განხილვით უჩვენოს მკითხველთ შრომის ნაკლი და ღირსება და შეეცადოს მათ გაუკეთოს

გზა სინამდვილის და ჭეშმარიტებისაკენ.

კრიტიკოსის დანიშნულება ამგვარად გამოიხატება იმაში, რომ მან თავისი წერით ნათელყოს ის, რაც საშუალო მკითხველთათვის დამალულია. აი ამ მოსაზრებით კრიტიკოსი უნდა იდგეს გონებრივად საზოგადოების საშუალო წრეებზე მაღლა. მან თავისი დაკვირვებით და გამჭვრეტელობით უნდა გამოამჟღავნოს ავტორის აზრების და აზროვნობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მხოლოდ ასეთი ნაბიჯნი იწვევენ საზოგადოების დიდ ყურადღებას. საზოგადოება იმავე ინტერესით მიეგებება კრიტიკულ შენიშვნების გამოქვეყნებას, როგორც ახალ შრომის გამოსვლას.

ჩვენში ამ ბოლო ხანებში სამწუხაროდ კრიტიკამ აუხვია ძველ გზას. ეს შეიძლება აიხსნას მით, რომ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეობა ხელს უშლიდა და ამჟამადაც უშლის განაგრძონ შემოქმედებითი მოღვაწეობა კრიტიკულ სფეროში იმ პირთ, რომელთა მომზადება და ნიჭი უზრუნველყოფს კრიტიკის დანიშნულების ჯეროვნად შესრულებას. აი ეს გარემოება უნდა ჩავთვალოთ იმის მიზეზათ, რომ ხშირად ვკითხულობთ ყოვლად უმნიშვნელო და უშინაარსო კრიტიკულ შენიშვნებს, რომლის საუცხოვო ნიმუშებს წარმოადგენენ ჟურნალ „შვიდი მნათობი“-ს პირველ და მეორე ნომრებში მოთავსებული კრიტიკული შენიშვნები.

ამ ჟურნალის სარედაქციო კოლლეგია სრულებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ „ჩვენთვის არ არის საიდუმლო, რომ პირველი ნომერი შეიცავს მრავალ ნაკლს, მაგრამ ჩვენ არ გვიტეხს გულს ეს გარემოება, რადგანაც გვჯერა, რომ საზოგადოების ყურადღება და თანამშრომლობისადმი სიყვარული თანდათანობით დააყენებს ჟურნალს სათანადო სიმაღლეზე“.

ჟურნალის ასეთ ნაკლს, როგორც ზემოდ ვთქვით, წარმოადგენს კრიტიკის განყოფილება.

კრიტიკა ისეთი ფაქიზი საქმეა, რომ ის შეუძლებელია მიენდოს ისეთ პირთ, რომელთაც არც ძალა და არც ცოდნა შესწევთ ავტორის აზრებს უნახონ თავი და ბოლო. აი ასეთი კრიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნის ის პირი, რომელსაც მიუღია თავის თავზე ნახსენებ ჟურნალისათვის იურიდიულ შინაარსის წიგნების განხილვა და მათი ღირებულების საზოგადოების ყურადღების და დაფასების სასწორზე დადება. აღნიშნული პირის კრიტიკული გარჩევა მოგვაგონებს ისეთ პირთა კრიტიკას, რომელთაც თავისი მწერლობითი მოღვაწეობაში მკვიდრო ნაბიჯები არა აქვთ, და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ საგნის უცოდინარობის გამო სწერს სხვისი ნალაპარაკების, სხვისი სიტყვების მიხედვით. ამის გამო შენიშვნებსაც ყალბი ნიადაგი აქვს.

ამგვარ ხასიათის ნაწერს წარმოადგენს წიგნის „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“ (ავტორია კ. დ. მიქელაძე) ბ. ნიკრისელის კრიტიკა.

წიგნის სათაური უკარნახებს მკითხველთ, რა საკითხს უნდა შეხებოდა ავტორი, წიგნზე წარწერიდან კი— „ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ“— ნათლად სჩანს, რომ ავტორს იმის მიზანი კი არ ჰქონდა, რომ მთელი საკითხი სავსებით გამოერკვია, არამედ გამოეთქვა ზოგიერთი მოსაზრებანი, რომელიც უნდა შეხებოდა დემოკრატიულ სახელმწიფოს კონსტიტუციის პრინციპებს, მოწინავე სახელმწიფოთა წესწყობილებას და ჩვენში ფაქტიურად არსებულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებს.

კრიტიკულ შენიშვნების ავტორს ბ. ნიკრისელს თავის თავზე მიუღია გაბედულება გადაჭრით ეთქვა თავისი „სამართლიანი“ სიტყვა ნახსენებ წიგნის ღირებულების შესახებ. მისი აზრით, ავტორს „ყურადღება არ მიუქცევია უკვე გამომუშავებულ ტერმინოლოგიისათვის, და თავის მხრივ ახალი ტერმინების პირდაპირი თარგმნით უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში“, „ავტორი ამასთანავე აზროვნობს რუსულად და სწერს ქართულად წმინდა რუსული კონსტრუქციით“ და „წესწყობილების ამორჩევაში ვერ გვეხმარება“.

„კრიტიკის“ მოყვანილი მოსაზრებანი არაფერს არ ემყარება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის „ავტორიტეტულ“ განცხადებას, რომელსაც მკითხველმა ბრმად უნდა დაუჯეროს.

იმ პირობებში, როდესაც მუშავდება სამეცნიერო ტერმინოლოგია, ძლიერ ძნელია ითქვას, თუ რომელი ტერმინი უკეთესია. ჩვენ ჯერ არ გაგვივლია ვითარების ის გზა, რომ შეგვეძლოს ჩავთვალოთ ეს თუ ის ტერმინი საბოლოოთ მიღებულათ. ამ შემთხვევაში, თუ კი კრიტიკოსს არ მოსწონს ის ტერმინები, რომელსაც ეს თუ ის ავტორი ხმარობს, და მას მოსწონს ის, რომელიც მას პირველად გაუგონია, ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ უნდა იქნეს მიღებული ის, რაც მას მოსწონს.

იმ დროს, როდესაც კრიტიკოსი უარყოფით უყურებს ავტორის მიერ წამოყენებულ ტერმინებს და უვარგისათ თვლის, მას უნდა განემარტა და დაესაბუთებინა მათი უვარგისობა და ზოგიერთ პირთა მიერ დამუშავებული ტერმინების უპირატესობა და ეს მით უმეტეს, რომ ის ნახულობს, რომ ავტორის ტერმინოლოგიას „უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში“.

კრიტიკოსი დიდ სითამამეს იჩენს აგრეთვე, როდესაც აცხადებს, რომ ავტორი წესწყობილების ამორჩევაში ვერ გვეხმარებაო. ის, ვისაც წაკითხული აქვს ბ. ნიკრისელის მიერ გაკრიტიკებული წიგნი, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ „კრიტიკოსს“ ეს წიგნი არ წაუკითხავს, ან წაუკითხავს ის, მაგრამ ინტელიგენტისათვის მდაბიო ენით ნაწერი ვერ გაუგია. ეს რომ ასე არ იყოს, რით უნდა აიხსნას ის, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ავტორი წიგნის თითქმის ყოველ თავში სწერს, რა წესწყობილება არის ხელსაყრელი ისეთ სახელმწიფოსათვის, როგორსაც წარმოადგენს საქართველო, ის დაჟინებით და სითამამით ავტორიტეტისა აცხადებს, რომ წესწყობილების ამორჩევაში ავტორი ვერ გვეხმარებაო.

„კრიტიკულ“ შენიშვნების ავტორს მე არ ვიცნობ; არ ვიცი რა გვარს ატარებს ის და რა მიმართულების არის, ვინაიდან ფსევდონიმის ნიღაბით აქვს შეკრული თავ პირი. არ ვიცი აგრეთვე ჰქონდა მას თუ არა ოდესმე იურისპრუდენციასთან რაიმე კავშირი. ის კი ნათელია, რომ მას წიგნის კითხვა ვერ უსწავლია.

ყოველი სამეცნიერო ხასიათის წიგნი თხოულობს დაფიქრებულ წაკითხვას, რომელსაც თან უნდა სდევდეს გაგების ნიჭი და შესაძლებლობა. ბატონ ბ. ნიკრისელს ვერ გაუგია წიგნი და ეს აძლევს მას საშუალებას აღიაროს, რომ „ავტორმა საკითხი იცის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას გადმოცემა და განმარტება შეეძლოს“.

რა თქმა უნდა ცუდია, როდესაც რომელიმე ადამიანს საკითხის შესახებ ცოდნა აქვს, მაგრამ ენის უცოდინარობის გამო არა აქვს საშუალება გადმოსცეს თავისი აზრი გასაგებ ენაზე. მაგრამ ყოველისფერზე უარესია, როდესაც წიგნის გამრჩეველი, რომელსაც არ შეუძლია მიუდგომლობა დაიცვას, არ შეუძლია სხვისი შრომის ყურადღებით წაკითხვა, მისი გაგება და სინდისიერად დაფასება, მკითხველთ ყალბ ნიადაგს უმზადებს, სერიოზულ ჟურნალს კი ნდობას უკარგავს.

ეს არის ჩემი მოსაზრებები ბატონ ბ. ნიკრისელის ყოვლად უმნიშვნელო „კრიტიკულ“ შენიშვნების შესახებ. ამ პირობებში ლიტერატურული ეთიკა, რომელიც უნდა ჰქონდეს კალმის ყოველ მომუშავეთ, მოითხოვს, რომ „კრიტიკოსმა“ თავი გაიმართლოს მკითხველთა და ჟურნალის რედაქციის წინაშე. რომელმაც, ჩემის აზრით, შეცდომით მოათავსა „შვიდი მნათობი“ს პირველ ნომერში აღნიშნული შენიშვნები.

მე არ შევაჩერებდი მკითხველის ყურადღებას ბ. ბ. ნიკრისელის ნაწერზე, რომ ჟურნალის მეორე ნომერში არ იყოს უმსგავსო რეცენზიები, მაგალითად, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის წიგნის (ქართული სამართლის ისტორია) შესახებ რეცენზია, რომელიც შეიცავს თორმეტ ბწკარს, მასთან არავითარ დასაბუთებულ განხილვას და დაფასებას. თუ რეკლამისთვის იწერება ასეთი წერილები, უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შრომები რეკლამას არ საჭიროებს, სხვა საქმეა, თუ იწერება გონორარისათვის. ამ შემთხვევაში ადგილი ასეთ წერილებს უნდა ჰქონდეს სხვაგან.

იმ პირთ, რომელთაც თავიანთ თავზე მიუღიათ სერიოზულ ჟურნალში კრიტიკულ შენიშვნების მოთავსება, უნდა ახსოვდეთ, რომ ამისთვის საკმარისი არ არის ენის საშუალებით აზრების თავისუფლად გამოთქმა, საჭიროა საგნის ცოდნა, საღი აზროვნება და კრიტიკული ნიჭი. ხოლო სერიოზულ ჟურნალისათვის ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა, რომ მოთავსებული იქნენ ისეთი წერილები, რომელნიც მის ღირებულებას ამაღლებენ და არა ისეთი, რომელსაც ზიანის გარდა რაიმე სხვის მოტანა არ შეუძლია.

ბაქო. ქ. მიქელაძე.

ს.-დ. პარტიაში

ტფილისი. 4 დეკემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. კრებამ მოისმინა თ. ხ—ლის მოხსენება ტფილისის კომიტეტიდან, ამხ. ს. თევზაძის—გორის მაზრაში საერთო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებები კრებამ მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე. მცირე კოლექტივის წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივათ. საწევრო გადასახადის შესახებ კრება ავალებს მცირე კოლექტივების წარმომადგენლებს შეეცადონ, რათა წევრებმა იანვრამდე დააჩქარონ საწევრო გადასახადის შემოტანა. ვინაიდან ბინის საკითხი მეტათ მწვავე და აუტანელ საკითხათ გადაიქცა, კრება ადგენს, ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, მიექცეს ამ საკითხს უმთავრესი ყურადღება და თავისუფალი ბინები გადაეცეს იმათ, ვინც ამას ნამდვილათ საჭიროებს.

ამხ. პ. გაჩეჩილაძის პირადი განცხადების გამო არჩეულ იქნა კომისია.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ნიგოითი (გურია). 30 ნოემბერს მოხდა ნიგოითის საქ. ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაციის კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მომენტი; 2) ჩვენ და ბალშევიკების მოღალატური გამოსვლა და მუშაობა სოფლად; 3) პარტიულ-კულტურულ მუშაობის გაძალება; 4) არასამედო პარტიის წევრების შესახებ; 5) გურიის ცენტრალურ კომიტეტის წევრთა არჩევნები; 6) გურიის სარეზერვო გვარდიის შესახებ.

მომენტზე მოკლე მოხსენებას აკეთებს კოლექტივის თავმჯდომარე ს. ნიკოლაიშვილი, რომელიც მიაქცევს ამხანაგების ყურადღებას რესპუბლიკაში შექმნილ განსაკუთრებულ პირობებზე, რაიც გამოწვეულია მუხანათ ავანტიურისტების მოღალატურ გამოსვლებით და მოუწოდებს ამხ. მეტის ენერგიით და აქტივობით შეუდგენ მუშაობის გაძალებას.

ბალშევიკების ავაზაკურ გამოსვლების და მათ მუხანათურ მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ პ. ფირცხალაიშვილი. ვინაიდან ბალშევიკთა გამოსვლები თავის შედეგებით მეტად სახიფათო და დამღუპველია ჩვენი მრავალტანჯულ დემოკრატიის ცხოვრების პირობებში, როცა ჩვენს რესპუბლიკას თივს დასჩხავის რეაქციის შავი ყვავყორნები, კოლექტივის კრებამ გადასწყვიტა ყოველგვარი საშუალებით შეებრძოლოს და აღმოფხვრას ხალხის სიცოცხლის დაუძინებელ მტერ ნაძირალთა ბუდეები.

კრება ამასთანავე, თანახმად მიღებულ წინადადებისა, წინადადებას აძლევს და აფრთხილებს ყველა შენიშნულ პირებს საზოგადოებაში და საჭიროების დროს ყველა ოდნავად დანაშაულობაში შენიშნულს ადგილობრივ ადმინისტრაციას აძლევს შესაპყრობად და პასუხისგებაში მისაცემად თანახმად რესპუბლიკაში არსებულ კანონებისა. ამხ. ე. ნარსიას წინადადებით კოლექტივმა გადასწყვიტა გააძლიეროს ყველა სოფლებში მეთვალყურეობა და ღამით დარაჯობა, რისთვისაც შევიდეს სრულ თანხმობაში ნიგოითში არსებულ თავდაცვის რაზმის შტაბთან, რომელსაც აგრეთვე ეძლევა წინადადება განაგრძოს ფხიზელი მოქმედება.

პარტიულ-კულტურულ მუშაობის შესახებ კრებამ გადასწყვიტა ყველა იაჩეიკებში არსებულ მკითხველთა წრეებს მიეცეს წინადადება გააფართოვონ მუშაობა, ხოლო ნიგოითის კულტურულ წრეს ეთხოვოს გააძლიეროს კულტურული მუშაობა, ვინაიდან საამისო მოწოდება მას აქვს.

კოლექტივის დადგენილების თანახმად აგრეთვე ეთხოვა დამფუძნებელ კრების სოც. დემ. ფრაქციას გამოგზავნოს ნიგოითში დამფუძნებელ კრების ერთი-ერთი წევრი თანახმად ადგილობრივ მკვიდრთა სურვილისა სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. სადაც საჭირო იქნება გაიცხრილოს იაჩეიკები. გურიის ცენტრალურ კომიტეტის წევრებათ კოლექტივის კრებამ აირჩია ამხ. სტ. ნიკოლაიშვილი და შ. სამსონაძე. კითხვა გურიის სარეზერვო გვარდიის შედგენის შესახებ დროს უქონლობისა გამო გადაიდვა მახლობელ კრებისთვის.

კრების დასასრულ მიეცა წინადადება კოლექტივის წევრებს დაუყოვნებლივ შეუდგენ წევრთა რეგისტრაციას თვითოეულ იაჩეიკაში და საწევრო გადასახადების დროზე აკრეფას.

კორესპონდენტი.

დიდი-ჯიხაიში 28 ნოემ. მოხდა ადგილობრივ სოც.-დემ. კოლექტივის მორიგი სხდომა, რომელზედაც გაირჩა შემდეგი კითხვები: მოხსენებები ცენტრიდან და ადგილობრივ „იაჩეიკებიდან“, გზების კომისიების მუშაობა, პროფესიონალურ კავშირის დაარსება და სხვა მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთეს „იაჩეიკების“ წარმომადგენლებმა. მთელ საზოგადოებაში მოწყობილი არის 7 „იაჩეიკა“ სადაც სწარმოებს სისტემატიური მაცადინეობა. ხშირათ იმართება პარტიის წევრების კრებები, რომლებზედაც ირკვევა საერთო და ადგილობრივ ხასიათის კითხვები. საერთოდ აქ რევოლიუციის პირველ დღეებიდან არ შეჩერებულა პარტიული მუშაობა და ამით უნდა აიხსნას ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ამ საზოგადოებაში ერთხელაც არ ქონია ადგილი არავითარ ანარქისტულ გამოსვლებს.

26—27 რიცხვების წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა საზოგადოებას. უკვე დაკეთებული გზები ხელმეორედ საკეთებლათ მოექცათ. კრებამ ამ საკითხის განხილვა და სისრულეში მოყვანა გადასცა ადგილობრივ თემის გამგეობას სარაიონო ტეხნიკის დახმარებით.

პროფესიონალურ კავშირის დაარსება კრებამ სასურველად სცნო, მხოლოდ მიიღო რა მხედველობაში სოფლად მისი მოწყობის სიძნელე, დაადგინა ამ საკითხის ჯერ ცენტრში გარჩევა და შემდეგ საერთო სახელმძღვანელოთი მთელ რაიონში მუშაობა

ნოდე.

მუშათა შორის

ტფილისი. 30 ნოემბერს 1 რაიონის ქალთა ორგანიზაციის მეთაურობით შესდგა მრავალრიცხოვანი ქალთა კრება, კრებაზე როგორც ქართველები, ისე რუსებიც ბლომათ იყვნენ. დაესწრენ ი. ჟორდანია, ა. ქავთარაძე და ნ. ნაკაშიძე. მოხსენება გააკეთა „დედათა და ბავშვთა საზოგადოების“ თავმჯდომარემ ინ. ჟორდანიამ.

მომხსენებელმა ნათლათ დაუხატა კრებას ის საშინელება, რომელშიაც იმყოფებიან ქუჩაში უპატრონოთ დარჩენილი ბავშვები. დროა ვიზრუნოთ ამ საბრალო ბავშვებისათვის. უნდა დავაარსოთ ბავშვთა სახლები და ამით შევუმსუბუქოთ მომუშავე დედებს მდგომარეობა. ყოველი მუშა ქალი მიიყვანს თავის ბავშვს თავშესაფარში და იქ მათი ბავშვები უზრუნველყოფილნი იქნებიან, როცა გაფართოვდება ეს საზოგადოება, მაშინ ყველა ბავშვთა აღზრდის საქმე გადავა თვით საზოგადოების ხელში. აქ იქნებიან მცოდნე სპეციალისტები ამ საქმისა, ვინაიდან ჩვენმა დედებმა არ იციან აღზრდა ბავშვისა. ეს საზოგადოება მიზნათ ისახავს აღზარდოს როგორც ზნეობრივათ, ისე ფიზიკურად ნამდვილი მოქალაქენი. ამავე საგნის შესახებ მოხსენებას აკეთებენ ნ. ნაკაშიძე და ან. ქავთარაძე. კრება მათ წინადადებას აღფრთოვანებით შეხვდა და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება ამ საქმეში.

შემდეგ იყო შეკითხვები. კრებამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ რკინის გზის მუშა ქალებისათვის დაარსდეს ცალკე თავშესაფარი.

მდივანი ლ. ფ.

პროვინცია

ხ. ვაჩნაძიანი (თელავის მაზრა). თამამათ შეიძლება ითქვას, რომ აქ არაფერი არ არის რიგზე. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ყველაზე მეტს ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი მილიციონერებისა და ახლად შემდგარ სახალხო გვარდიის ზოგიერთ პირთა საქციელი: ეს ვაჟბატონები ქორწილიდან ქორწილში ვინტოვკების ზალპით დადიან, მეფე პატარძლის ძველ ჩვეულებებს ერთგულათ ასრულებენ და „მახარობლის“ როლში „წესრიგის“ დამცველები თვითვე არღვევენ მშვიდობიან მცხოვრებთა მყუდროების გამუდმებული ვინტოვკებისა და რევოლვერების სროლით.

საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება და იმ პირთ, რომლებიც თავიანთი საქციელით აძულებენ და სახელს უტეხენ ჩვენს სიამაყეს სახალხო გვარდიას, სასტიკათ აეკრძალოთ წარამარა თოფების სროლა.

ადგილობრივი კოოპერატივის ხელმძღვანელებზე ხალხში მრავალი საფუძვლიანი საყვედურები გაისმის. მაგ. გამგეობის ის წევრი, რომელიც განსაკუთრებულ ჯამაგირს ღებულობს იმისათვის, რომ საქონელი შეიძინოს, თავის ვენახში მუშაობს არხეინათ და კოოპერატივი მოაგონდება მხოლოდ მაშინ, როცა კერძო საქმეები შემოელევა და ჯამაგირის დროც მოახლოვდება. ამ მდგომარეობით, რა გასაკვირველია, რომ კერძო ვაჭრებმაც ისარგებლონ და ისინიც ტყავს აძრობენ მომხმარებელთ. ნავთი ჩვენს რესპუბლიკაში ბევრიც იშოვება და ძალზე იაფი. ხსენებულ კოოპერატივში თვეში 3 დღეს თუ არის ნავთი, დანარჩენ დღეებისათვის აქაური გლეხობა 6 მანეთს იხდის გირვანქა ნავთში კერძო ვაჭრებთან, ასე ხდება სხვა ყოველივე საგნებში.

საზოგადოების მიუდგომელი გაბედული და უტყუარი კრიტიკა თუ იხსნის დაწესებულებას ამ მდგომარეობიდან, თორემ სხვა არაფერი...

იგი.

ღ. ხარაგოული. ეს დაბა ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული: ერთად ერთი ხიდი მდინარე ჩხერი მელაზე ჩანგრეულია, რის გამოც გაჭირვებას განიცდიან მცხოვრებნი. 9 ნოემბერს ადიდებულმა მდინარემ მოიტაცა მილიციონერი ენუქიძე და რომ ნაპირიდან დროზე არ მიშველებოდენ, უბედურება მოხდებოდა.

ვერც წიგნთსაცავ-სამკითხველოა სასურველ ნიადაგზე დაყენებული:

ყოფილ სამრევლო შკოლის ქონებას ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებლები ინაწილებენ. დაანგრიეს სამზარეულო და წაიღეს, იპარავენ მოსაზღვრეები სკოლის ღობეს, დაანგრიეს „პლიტა“ და წაიღეს. განადგურდა საერთოდ სკოლის ინვენტარი.

პ. დ. უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ჯერაც არ დაწყებულა ნორმალურად, მასწავლებლების სიმცირის გამო. გადის აგერ სამი თვე და ორი მასწავლებელი აკლია, თუმცა წლის დასაწყისში მთხოვნელები ბლომათ იყვნენ მასწავლებლის ადგილზე...

სათემო არჩევნები აქ მოხდა 18 ოქტომბერს. აქ მალე გვექნება თეატრისათვის საკუთარი შენობა.

ელაზნოურელი

სენაკ-ხეთის რკინის გზა. სენაკ ხეთის რკინის გზით მიმოსვლის დაწყებაზე სენა-ზუგდიდ შუა მგზავრობა საშინელ ცუდ პირობებში სწარმოებდა. მედილიჟანეების თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა.

ახლა კი მთავრობის შემწეობით გაიხსნა გზა ხეთამდე, ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს; ჯერ ჯერობით მიდის ოთხი ვაგონი და თითქმის არ ყოფნის. მედილიჟანეების თავხედობამ აქაც იჩინა თავი, მიუხედავად იმისა, რომ ხეთაში გაკრულ განცხადებაში იყო აღნიშნული, მატარებლის და ხეთა ზუგდიდ შუა ავტომობილის მიმოსვლა შეფარდებული არის ერთმანეთზეო, ჩვენ დილიჟანით მოგვიხდა წასვლა ზუგდიდში, ვინაიდან ავტომობილი წამხდარი იყო და ესევე ჩავარდით მედილიჟანეების ხელში. მედილიჟანეები ზუგდიდიდან არ გამოდიან თავის დროზე, რომ მგზავრებს დაუგვიანონ მატარებელზე, რათა მერე სენაკამდი მათი წასაყვანი გახდეს. საჭიროა ზუგდიდ-ხეთას შუა მოეწყობოდეს ავტომობილებით მიმოსვლა, როგორც ეს არის ქუთაისს, სამტრედიას და ხონს შუა. ხალხი დიდი მოსიხარულეა, რომ მთავრობამ დახმარება გაუწია და გაუადვილა მიმოსვლა, მაგრამ ვინაიდან სამეგრელოს ცენტრი ქ. ზუგდიდია, ძალიან საჭიროებას წარმოადგენს რკინის გზის ზუგდიდამდე გაკეთება.

ქ. გუ—ჩია.

წერ. რედაქციის მიმართ

სოფელ მეჯვრისხევის (გორის მაზრა) სოციალ დემოკრატიული პარტიის კომიტეტის ზოგიერთ წევრების საყურადღებოდ.

ამა წლის მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში მე დამავალა დეპეშით ს. ს. დ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამომერკვია ადგილობრივათ სოფელ მეჯვრისხევში მომხდარ ამხანაგებ შორის განხეთქილების მიზეზები ყოველ მხრივ გამორკვევის და გამოძიების შემდეგ საქმის ვითარება მომეხსენებინა ცენტრალურ კომიტეტისათვის.

მე გამოვიძიე მეჯვრისხევში მომხდარი ამხანაგებ შორის უთანხმოების მიზეზები და კიდევაც მოვახსენე ჩემი გამოძიების დასკვნა წერილობით ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ როგორც მეჯვრისხევიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა მითხრეს იქ რამდენიმე ადგილობრივ კომიტეტის წევრთა შორის დაბადებულა უკმაყოფილება, რომელნიც თურმე ამტკიცებენ, რომ მე გამოძიება მომიხდენია ცალმხრივი და არ დამიკითხავს ორივე მხარესთვის.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უსათუოდ გაუგებრობის ბრალი უნდა იყოს, მით უფრო, მე ვისაც დავკითხე, უფრო ორივე მხარის მხრივ სერიოზულ მომუშავე ამხანაგათ მიმაჩნია (ამხ. ოქრუაშვილი) და დარწმუნებული ვარ ეს ამხანაგი აღადგენს სიმართლეს და პრესის საშუალებით განაცხადებს ჭეშმარიტებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის წევრი იმ კომიტეტისა, რომელ კომიტეტშიც შეთხზულა ეს უსამართლო უკმაყოფილება.

მე ჯერჯერობით ამის იმედი მაქვს.

მიტო ქიტუაშვილი.

განცხადებანი

ოზურგეთში ექიმი ს. მ. ახაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 582)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
[illegible]
შინაგანი ავადმყოფობანი, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი კ. ტუშმალიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ექიმი შ. დ. [illegible]
იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი ქალი რ. ზ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიული კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭოთ დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილით 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ქეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი დ. ა. ხარადიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ნ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და სასქესო ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] [illegible]. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავადმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გრიბოედოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნორდ-[illegible] № 116. ტელ. 14—28.